

კერძო სამართლის მიმართულების
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრატურის მე-2 კურსის
მე-4 სემესტრის სტუდენტი
კესო ბოყოველი
kesobkoveli@gmail.com

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

„ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვ
ლის წინაპირობა და ვალდებულების შესრულების პრიმატი სამართლებრივ
სისტემებში“

ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი ნათია ჩიტაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან მიმართებით	5
3. ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი და მისი საზღვრები	7
4. ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და მისი ადგილი მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის	9
4.1 გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობები.....	11
4.1.1 ნამდვილი, ორმხრივი ხელშეკრულება	12
4.1.2 არსებითი შეუსრულებლობის ცნება.....	12
4.1.3 ხელშეკრულების დარღვევა	16
4.1.3.1 ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება.....	18
4.1.3.2 ნაკლიანი შესრულების არსი ხელშეკრულებიდან გასვლის კონტექსტში	19
4.1.3.3 ნაწილობრივი დარღვევის ცნება.....	21
4.1.3.4 შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახე.....	22
4.1.4 ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას.....	23
4.1.4.1 ვალდებულების შესრულების ცალკეული ვადები.....	23
4.1.4.2 დამატებითი ვადის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევები და ვადა, როგორც ხელშეკრულების არსებითი პირობა	24
4.1.5 დამატებითი ვადა და გაფრთხილება	28
4.1.5.1 დამატებითი ვადის გამოყენების წინაპირობები	28
4.1.5.2 დამატებითი ვადის ხანგრძლივობა.....	29
4.1.5.3 გაფრთხილების ფუნქცია და გაფრთხილების გამოყენების წინაპირობები	30
4.1.5.4 განსხვავება დამატებითი ვადასა და გაფრთხილებას შორის.....	30
5 ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების მნიშვნელობა	31
6 ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი	33
6.1 თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა - ნატურით დაბრუნება	34
6.2 ზიანის ანაზღაურება.....	36
7 დასკვნა	37

1. შესავალი

კონტინენტური ევროპის სამართალი, რომელსაც ქართული სამართალიც განეკუთვნება, სამართალს ორ ნაწილად ყოფს - კერძო და საჯარო სამართლად.¹ სამართლის ის ნაწილი, რომელიც კერძო პირთა შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს, იწოდება კერძო სამართლად, რომელსაც საფუძვლად თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირად ურთიერთობები უდევს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი² ძალაში 1977 წლის 25 ნოემბერს შევიდა და ევროკავშირის კერძო სამართლის პრინციპებს დაეფუძნა.³ ის პანდექტური სამართლის სისტემის კოდექსთა რიცხვს მიეკუთვნება და ძირითადად გერმანულ მოდელს ეფუძნება, ხოლო ბევრი ნოვაცია, რაც თავად გერმანიაში პრაქტიკულად 2002 წლიდან შევიდა ძალაში, საქართველოში 1977 წელს განხორციელდა.⁴ ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო სამართლის ყველაზე დიდ ნაწილს მოიცავს⁵, ის ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან შედგება. ვალდებულების შინაარსში ორი ძირითადი ელემენტი - ერთი პირის უფლება მოითხოვოს შესრულება და მეორე პირის შესაბამისი მოვალეობა შეასრულოს - ჯერ კიდევ რომის სამართლის დროიდან არის ძალაში და დღემდე განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია.⁶ როდესაც სუბარია ვალდებულებით ურთიერთობებზე, შესაძლოა იგულისხმებოდეს მისი ვიწრო გაგება, კერძოდ, სახელშეკრულებო

¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2011, 17 <<https://tsulawyers.weebly.com/online-library.html>>.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, უწყებანი, 1997, 31.

³ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეპეტიცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 16 <<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/187881/1/EvropuliKerdzoSamartlisRecepaciaSaqartveloshi.pdf>>.

⁴ იქვე.

⁵ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 6.

⁶ ძლიერბივილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 34.

ურთიერთობებით წარმოშობილი ვალდებულების შინაარსზე, რაც მხარეების მიერ ერთმანეთთან არსებულ კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს გულისხმობს.⁷ სამოქალაქო კოდექსი აგებულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე, შესაბამისად, ხელშეკრულების დადებას ყოველთვის ახლავს გარკვეული რისკი ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლების ანალიზი, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლა მეტად საინტერესო და აქტუალურია, განსაკუთრებით კი დამდგარი სამართლებრივი შედეგების ანალიზის კუთხით. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისას, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები და ხელშეკრულების შესრულების უზენაესობის პრინციპი.

ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის განხილვა ეტაპობრივად ვითარდება ნაშრომის მიმდინარეობისას: თავდაპირველად მსჯელობაა ვალდებულების წარმოშობასა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე, ასევე მათ ურთიერთმიმართებაზე. შემდგომ ეტაპად განხილულია ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი და მისი საზღვრები. ამის შემდგომ მსჯელობაა ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებასა და ადგილზე მეორად მოთხოვნის უფლებებს შორის, შემდგომ ეტაპად დახასიათებულია ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, რასაც უპირობო პრაქტიკული დატვირთვა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობის ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმში გადასაყვანად. ნაშრომში ცალკე თავად არის გამოყოფილი ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციფიკა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ინდივიდუალურ ვითარებაში. კერძოდ, ცალკეულად არის განხილული ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, არსებითი შესრულების ცნება და ზოგადად ფუნდამენტური მნიშვნელობის ხელშეკრულების პირობები. მოყვანილია სხვადასხვა ევროპული ქვეყნების მაგალითები. ამდენად, შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის კონკრეტულ შემთხვევებად არის კლასიფიცირებული. შესაბამისად, განხილულია ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალის მიერ ვადის გადაცილების, ნაკლიანი შესრულებისა და შესრულების შეუძლებლობის დროს, სადაც იკვლევა, თუ რამდენად განხორციელებადია და რა თავისებურებებით ხასიათდება ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება თითოეულ ამ შემთხვევაში და რა კავშირი აქვს თითოეული დარღვევის სახეს ხელშეკრულების არსებით პირობებთან. ეს საშუალებას იძლევა, ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი სრულად იყოს წარმოდგენილი. საბოლოოდ კი განხილულია ხელშეკრულებიდან გასვლის

⁷ იქვე, 2014, 35.

სამართლებრივი შედეგი მხარეთა მიერ შეთანხმებულ უფლება-ვალდებულებათაგან გათავისუფლებისა და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ცალკეულ საკითხებად. ნაშრომის ბოლოს კი წარმოდგენილია დასკვნა, რომელშიც ხაზგასმულია ზოგადად ნაშრომის მთავარი განსახილველი საკითხის შესახებ მსჯელობა და შეფასება.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის შედეგებითი და ანალიტიკური მეთოდები. კვლევა ეფუძნება ქართული და ევროპული სამართლის შესაბამისი ნორმების შედარებას და ამ გზით მიღებული ინფორმაციის ანალიზს დასახული მიზნის მისაღწევად.

2. ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან მიმართებით

ვალდებულება, ისევე როგორც ყველა სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა განსაზღვრული იურიდიული ფაქტების საფუძველზე, რომელთაგან კანონი განსაკუთრებით გამოყოფს ისეთ იურიდიულ ფაქტს როგორცაა ხელშეკრულებ.⁸ ხელშეკრულების ცნების დეფინიცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ან რომელიმე სხვა სამართლებრივ ნორმაში არ არის მონესრიგებული. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულება პიროვნების მიერ გამოვლენილი ნების რეალიზაციის საშუალებას/ ინსტრუმენტს წარმოადგენს⁹. ხელშეკრულება არის ორი პირის მიერ დადებული შეთანხმება (გარიგება), რომელსაც მოყვება სამართლებრივი შედეგი, ანუ ხელშემკვრელ მხარეებს წარმოეშობათ უფლებები და მოვალეობები. ამდენად, ხელშეკრულება არის ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი წყარო, რომელსაც შეესაბამება კრედიტორის მოთხოვნის უფლება. ხელშეკრულება კანონის საფუძველზე იდება. შესაბამისად, მას კანონის ძალა გააჩნია¹⁰, რომლის ფარგლებშიც მხარეს სამოქალაქო უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა წარმოეშობა¹¹. ხელშეკრულებას მხარეები მხოლოდ მაშინ დებენ, როდესაც თითოეული მხარის სარგებელი გათვალისწინებულია.¹²

⁸ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 8.

⁹ Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365.

¹⁰ ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 57.

¹¹ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, 325.

¹² Kötz, Flessner, Europäisches Vertragsrecht, 1996,5.

აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თავად აწესებენ იმ ქცევის წესს, რომლის შესრულებაც მომავალში მათ მიერაა სავალდებულო. კერძო ავტონომია კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. თითოეული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა სწორედ აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება. რაც ნიშნავს, კერძო სამართლის სუბიექტთა შესაძლებლობას თავისუფალი ნების გამოვლენით სახელმწიფოსაგან ჩაურევლად მოანესრიგონ ურთიერთობა ერთმანეთს შორის. სახელშეკრულებო ურთიერთობაში, სწორედ ნების ავტონომიის პრინციპის რეალიზება ხდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მეშვეობით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი კი, თავის მხრივ, გულისხმობს მხარის შესაძლებლობას დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება, აირჩიოს ხელშეკრულების კონტრაქენტი (მხარე) და მათ შორის, განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახეზე იყოს ორივე მხარი ნება, რათა მოხდეს შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე, როგორც თავდაპირველ, ხელშეკრულების გაფორმების, ასევე მასში ცვლილებების შეტანის ეტაპზეც. ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია, რომელიც გულისხმობს მხარეთა თანხმდებრივ ნების გამოვლენას, რაც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისკენ.¹³ როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხარეები, თანხმდებიან იმ პირობებზე, რომელთა შესრულებაც მომავალში მათთვის სავალდებულო გახდება. თავად ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საკმარისია, თუ შეთანხმება მოხდება მის არსებით პირობებზე (საამისოდ გათვალისწინებული ფორმით). მაგალითისთვის, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხელშეკრულების პირობის (კერძოდ, ფასის გაზრდის) ცვლილება განხორციელებულად არ ჩათვალა, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდებოდა მხოლოდ მოსარჩელის მიერ წერილის გაგზავნით გამოხატული ნება, თუმცა მეორე მხარის თანხმობა სახეზე არ იყო.¹⁴ გარდა ამისა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 154-ე პარაგრაფის თანახმად,¹⁵ საეჭვოობის შემთხვევაში, ხელშეკრულება არ ითვლება დადებულად მანამ, სანამ მხარეები არ შეთანხმდებიან ყველა იმ პირობაზე, რომელზეც ისინი ან თუნდაც ერთი მათგანი ითხოვს შეთანხმებას. თუმცა, საინტერესოა რა შემთხვევაში ითვლება ესა თუ ის პირობა შეთანხმებულად. იმისათვის, რომ პირობა მხარეების მიერ

¹³ Bar, Clive, Schulte-Nölke (ed.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law (DCFR), Vol. I, Book II (Model Rules), Chapter 1, 2009, 190.

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივნისის N ას-630-593-2012 განჩინება.

¹⁵ German Civil Code (BGB), Juris GmbH, Saarbrücken, 2005, section 154.

შეთანხმებულად ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ მასზე შედგეს კონსენსუსი. მაგრამ შესაძლებელია ხელშეკრულება იყოს დადებული და მხარეები ვერ აცნობიერებდნენ, რომ ფაქტობრივად შეთანხმება გარკვეულ პირობაზე არ შედგა, ასეთ შემთხვევაში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 155-ე პარაგრაფის მიხედვით ხელშეკრულებას აქვს მბოჭავი ხასიათი, თუ ნათელია, რომ ის დაიდებოდა ამ პირობაზე შეთანხმების გარეშე.¹⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილით¹⁷ შესაძლებელია ითქვას, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ორი ელემენტისგან შედგება: ხელშეკრულების დადების თავისუფლება და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა. ხელშეკრულების დადების თავისუფლება განამტკიცებს იმ შესაძლებლობას, პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გარდა, გამონაკლისი შემთხვევებისა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. მხარეებს ასევე შეუძლიათ დამოუკიდებლად შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა საკითხზე, რაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა გულისხმობს იმას, რომ მხარეებს უფლება აქვთ დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, მათ შორის ისეთიც, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული, თუმცა ასეთი ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას¹⁸.

3. ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი და მისი საზღვრები

სამოქალაქო კოდექსის სერიოზული თავისებურება ის არის, რომ იგი მთლიანად შესრულებაზეა ორიენტირებული. მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა მისი შეუსრულებლობისთვის.¹⁹ *pacta sunt servanda* - ხელშეკრულება უნდა შესრულდეს²⁰ - ყველა სამართლებრივი სისტემისთვის ფუძემდებლური ცნებაა, რომელიც იმპერატიულად ადგენს სახელშეკრულებო პირობების შესრულების სავალდებულოებას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის, სახელშეკრულებო ნონასწორობის უზრუნველყოფისა და სამართლებრივი განსაზღვრულობისათვის.²¹ ხელშეკრულების დადებისას, მხარეთა მიზანი შეთანხმებული პირობების ზედმინწევით შესრულებაა, თუმცა,

¹⁶ იქვე, 2005, section 155.

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, უწყებანი, 1997, 50, <<https://matsne.gov.ge/ka/document/download/31702/101/ge/pdf>>

¹⁸ იქვე.

¹⁹ ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 4.

²⁰ იხ. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი, სამართლის „ჟურნალი“ N1, 2014, 204.

²¹ იხ. იქვე, 2014, 205.

სახელმეკრულებო ურთიერთობებში ყოველთვის არსებობს ვალდებულების დარღვევისა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივი სისტემები ცდილობენ მოახდინონ სწორედ ამ რისკის პრევენცია და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა. თუმცა აღნიშნული ცნების ფარგლები განსხვავდება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში, იმის მიხედვით, თუ რა დაცვის საშუალებები არსებობს ხელშეკრულების დარღვევისთვის. ევროპული სამართლებრივი სისტემა, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, ითვალისწინებს ვალდებულების დარღვევისგან სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

ხელშეკრულების დადებისთანავე, მხარეები ვალდებულები არიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით - ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. ამავდროულად ისინი იმყოფებიან სახელმეკრულებო შებოჭვის მდგომარეობაში, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მიზნებიდან გამომდინარე მოითხოვს, რომ მათ არ ჰქონდეთ უფლება ცალმხრივად თქვან უარი ხელშეკრულებაზე და მისგან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე. თუმცა ეს შებოჭვა არ არის აბსოლუტური ძალის და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად თქვას უარი ხელშეკრულებაზე. ასეთი უფლების გამოყენების საფუძველი შეიძლება სხვადასხვა იყოს, როგორც ხელშეკრულების პირობის დარღვევა- ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა, ასევე ისეთი შემთხვევა, როცა ხელშეკრულება რეალურად არ არის დარღვეული, მაგრამ პატივ სადები საფუძველით ხელშეკრულების მხარე კანონის საფუძველზე აღიჭურვება ხელშეკრულების მოშლის უფლებით (სამოქალაქო კოდექსის 398-399-ე მუხლები).

მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძველით ხდება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოქმედებს ერთიანი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში დაიშვება სახელმეკრულებო ბოჭვის პრინციპისადმი გადახვევა და ხელშეკრულებაზე ცალმხრივად უარის თქმა. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთ სახეს, რომელსაც ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ცნებას და ამ უფლების წარმოშობის წინაპირობებს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი. რომლის მიხედვითაც: „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უმედეგოდ გასვლის შემდეგ.“ მოცემული ნორმიდან შეგვიძლია გამოვყოთ ხელშეკრულებიდან გასვლის ცნების რამდენიმე ელემენტი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

4. ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და მისი ადგილი მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებულ ნორმებს. საინტერესოა, რომ მოცემულ თავში პირველივე მუხლში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი) კანონმდებელი იყენებს ტერმინს „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“ და მას ტერმინის „ხელშეკრულებიდან გასვლის“ სინონიმად აღიქვამს. სტრუქტურული თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია გარკვეული ხარვეზების გამოყოფა. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი ბლანკეტური ნორმაა და თავის მხრივ მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 394-ე მუხლებზე. 405-ე მუხლი - დამატებითი ვადის დანესება ვალდებულების დარღვევისას და 394-ე მუხლი - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას მოცემულნი არიან სამოქალაქო კოდექსის მესამე კარში, კერძოდ ვალდებულების დარღვევის ნაწილში, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც ვალდებულების დარღვევის შემდგომი ეტაპია, სამოქალაქო კოდექსის პირველ კარში, კერძოდ სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნაწილშია განთავსებული.

გერმანული სამართლის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების საფუძველია ნამდვილი ხელშეკრულების შეუსრულებლობა და შემხვედრი შესრულების ვალდებულებისაგან კრედიტორის გათავისუფლების კანონიერი ინტერესი.²² ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლა შეიძლება აღქმული იყოს როგორც კეთილსინდისიერი კონტრაქტის ძალაუფლება, ცალმხრივად შეცვალოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი.²³ ხელშეკრულებიდან გასვლა, მხარეს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა იმგვარად, რომ განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს ის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმაც წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივი აღმჭურველი უფლების განხორციელებას.²⁴

აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა და პირველადი მოთხოვნის შეუსრულებლობისას ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი უფლების აღმოცენების გარანტია. მეორადი მოთხოვნების განხილვა ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების

²² Markesinis, Unberath, Johnston, *The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 419-420.

²³ იქვე, 2006, 420.

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 22 ივლისის N ას-292-573-04 განჩინება.

შეუსრულებლობის (ან არაჯეროვანი შესრულების) შემთხვევაში. ეს სხვადასხვა ფორმით შეიძლება მოხდეს: ვალდებულების დაგვიანებული შესრულებით (ვადის გადაცილება), ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით. ყველა ამ შემთხვევაში საუბარია ვალდებულების დარღვევაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეს მოსთხოვოს შესრულება.²⁵

ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან ან კანონიდან. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მოთხოვნა მიეკუთვნება პირველად მოთხოვნათა რიგს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების – პირველადი მოთხოვნის შესრულებლობის – შემთხვევაში დღის წესრიგში დგება მეორადი მოთხოვნების განხილვის საკითხი.²⁶ როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვალდებულების შეუსრულებლობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს, ხოლო, ვალდებულების დარღვევას მოსდევს კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა სამართლებრივი შედეგის დადგომა. დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობამ ზემოთ მოყვანილი რომელიმე ფორმით შეიძლება მხარე აიძულოს, საერთოდ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. მაგალითად, თუ მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებას დროის მკაცრად განსაზღვრულ მონაკვეთს ან სულაც ერთ კონკრეტულ თარიღს (მაგალითად: დაბადების დღეს) უკავშირებს, ვალდებულების შესრულება ვადის გადაცილებით მის ინტერესს ხელშეკრულების მიმართ აზრს უკარგავს და, ბუნებრივია, უარს იტყვის ხელშეკრულებაზე.

ხელშეკრულებიდან გასვლის ძირითადი მიზანია, კრედიტორს მიეცეს შესაძლებლობა, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, როცა მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას.²⁷ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნით კრედიტორი თავისუფლდება შემხვედრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.²⁸ თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება როგორც უკიდურესი ზომა (*ultima ratio*), როდესაც ხელშეკრულების გაგრძელებას აზრი არა აქვს.²⁹ ეს დარღვევები ხშირად ინვევენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ან აიძულებენ რომელიმე მხარეს, უარი თქვან ხელშეკრულებაზე. შესაძლებელია, აგრეთვე,

²⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, უწყებანი, 1997, 31.

²⁶ ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი/მატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2005, 182.

²⁷ Markesinis, Unberath, Johnston, *The German Law of Contract, A Comparative Treatise*, Second Edition, Oxford and Portland, Oregon, 2006, 419.

²⁸ იქვე.

²⁹ Graffi L., *Case Law on the Concept of “fundamental breach” in the Vienna Sales Convention*, 2003, <<https://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/graffi.html> [19.06.2019]>.

ზიანის ანაზღაურებისა და უარის თქმის კომბინაცია.³⁰ შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა უპირატესად კანონისმიერი მეორადი მოთხოვნის უფლებაა. კანონი უშუალოდ და ზუსტად განსაზღვრავს ამ უფლებით სარგებლობის წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგს.

4.1 გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობები

ამ თავში ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების კონკრეტული წინაპირობებია განხილული. ვინაიდან კრედიტორის მიერ ამ უფლების გამოყენება სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს მთლიანად ისე ცვლის, რომ თავდაპირველად თქმულისგან განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს აფუძნებს, შესაბამისად მისი გამოყენების წინაპირობებიც კომპლექსურია. ეს წინაპირობები შეიძლება დაიყოს მატერიალურად – სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, და ფორმალურად – დამატებითი ვადის დანესება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არსებობს ხელშეკრულების ან კანონის შესაბამისად. პირველ შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ ამ უფლების განხორციელების პირობებს, ხოლო როცა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ხორციელდება კანონის საფუძველზე, ამისათვის საჭიროა რამდენიმე წინაპირობის არსებობა, რომლებიც ზოგადია. არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როცა ამ სქემის სრულად დაცვა არ არის აუცილებელი. აღნიშნული საკითხის განხილვა მოგვიანებით მოხდება.

ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების ზოგადი სქემა კი შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: 1. ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა; 2. ხელშეკრულების დარღვევა (მნიშვნელოვანი დარღვევა); 3. დამატებითი ვადის დანესება (გაფრთხილება); 4. ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვა. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს დამატებითი ვადის დანესებისა და გაფრთხილების გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას. პირველ რიგში, უმჯობესია გავმიფროთ ხელშეკრულებიდან გასვლის თითოეული წინაპირობა. შესაბამისად შეიძლება ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ საერთო სამართალში ზიანის ანაზღაურება ნორმალური და ავტომატური საშუალებაა,³¹ სამოქალაქო სამართალი ზოგადად მიზნად ისახავს ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების შესრულებას. ხელშეკრულების შეწყვეტა საბოლოო ჯამში ხელშეკრულების პირველადი ვალდებულებებისაგან მხარეებს ათავისუფლებს. სამართლებრივი სისტემებისათვის მნიშვნელოვანია

³⁰ბილინიგი/ლუტრინგჰაუსი/მატერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2004-2009, 30.

³¹ Cartwright J., Contract Law, An Introduction to the English Law of Contract for the Civil Lawyer, 3rd ed., Hart 2016; S. Atkins, Equity and Trusts, 2nd ed., Routledge 2015, 78.

ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევის კონცეფცია, რაც გულისხმობს დაზარალებულ მხარეთა მნიშვნელოვან სახელშეკრულებო უფლებებს. ასეთ დროს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სწორედ ამ ფუნდამენტური სახელშეკრულებო უფლებების დაცვა. თუმცა, თავის მხრივ ხელშეკრულება არ სრულდება და წარმოიშვება მეორადი უფლებები.

4.1.1 ნამდვილი, ორმხრივი ხელშეკრულება

ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის საფუძველი – სახელშეკრულებო ურთიერთობა არის ნამდვილი და მხარეები სადავოდ არ ხდიან ნამდვილობის საკითხს.³² ხელშეკრულებიდან გასვლისას ხელშეკრულების საფუძვლის ნამდვილობა ეჭვქვეშ არ დგას.³³ ამ დროს რესტიტუცია ხორციელდება არა გარიგების საფუძვლის ნაკლის გამო, არამედ, როგორც ნამდვილი ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგი, რასაც არავითარი შეხება არ აქვს გარიგების საფუძვლის ნამდვილობასთან.³⁴ თუ ხელშეკრულება არ არის ნამდვილი, არ გავრცელდება 405-ე მუხლი და მიღებული შესრულების უზრუნველსაყოფად მითითება მოხდება არა 352-ე მუხლით გათვალისწინებულ რესტიტუციის წესებზე, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე. ამდენად, ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელი წინაპირობაა ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა.

4.1.2 არსებითი შეუსრულებლობის ცნება

ვალდებულების დარღვევა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობა, შესრულების ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი ფორმით განხორციელდა დარღვევა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა არსებით ხასიათს ატარებს. არსებითია, თუ არა დარღვევა, ეს ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას უნდა დადგინდეს;³⁵

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. შეუსრულებლობა გარკვეული

³² იქვე, 2004-2009, 249.

³³ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 505.

³⁴ იქვე.

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის N ას-717-670-2017 განჩინება.

ობიექტური მასშტაბით იზომება. დებულება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, როცა ვალდებულების დარღვევა სერიოზულობის განსაზღვრულ დონეს აღწევს, აღიარებულია თითქმის ყველა ტრადიციული სამართლებრივი სისტემით. ამ იდეას ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ბუნება განაპირობებს. არსებითია თუ არა დარღვევა, ეს ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას უნდა გადაწყდეს. არსებითი იქნება ხელშეკრულების დარღვევა, თუკი ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელია.³⁶

ქართულ კოდექსში არსებითი შეუსრულებლობის კონცეფცია, როგორც ასეთი, გამოკვეთილი არ არის. ამ შემთხვევაში აშკარაა გერმანული გავლენა, რადგან დამატებითი ვადის კონცეფციაა აღიარებული, მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე III(ა) მუხლით განმარტებულია, რომ ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარეობს, რომ თუნდაც დამატებითი ვადა უშედეგოდ გავიდეს, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, თუკი დარღვევა უმნიშვნელოა. შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს არსებითი დარღვევა, რომლის ჩამონათვალიც კოდექსით არ არის მოწესრიგებული, ვინაიდან თითოეულ შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვან დარღვევად სხვადასხვა სახის შემთხვევა მოგვევლინოს.

გერმანულ სამართალში მიდგომა სხვაგვარია – არსებითია თავისთავად ყველა სახელშეკრულებო დარღვევა, რომლებიც დამატებით ვადაში არ გამოსწორდება. ამასთან, ქართული კოდექსი ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობის შეფასების არაავითარ ორიენტირს არ იძლევა, შეფასება მეტად აბსტრაქტულია. გერმანული სამოქალაქო კოდექსის შესაბამის პარაგრაფებში³⁷ კი არ იკვეთება მოთხოვნა ვალდებულების დარღვევის არსებითობის შესახებ. მისი ცენტრალური 323-ე პარაგრაფით უფლება ენიჭება კეთილსინდისიერ მხარეს, გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუკი მეორე მხარე არ შეასრულებს ორმხრივ სახელშეკრულებო ვალდებულებას. ეს არის ამ უფლების სუბსტანცია, ისე, რომ შეუსრულებლობა ხელშეკრულების დარღვევის ობიექტურ შემადგენლობას ქმნის. არსებითობის შესახებ ვაკუუმს კოდექსი დამატებითი ვადის დანესების მოთხოვნით ავსებს. ეს ინსტიტუტი ყველაზე მეტად სწორედ გერმანულ სამართალშია წარმოდგენილი. მხარისათვის მეორე შანსის მიცემა იმპერატიულია, კრედიტორის ეს ვალდებულება ცენტრალურ 323-ე პარაგრაფშივეა მოცემული.

³⁶ ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 441.

³⁷ §§ 323, 326 of the German Civil Code, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

არსებითი შეუსრულებლობის კონცეფცია განსაკუთრებით განვითარებულია ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში. ზოგადი პრინციპი ასეთია – ვალდებულების დარღვევა რეალურად და არსებითად უნდა ართმევდეს მხარეს იმას, რასაც კანონიერად მოელის იგი ხელშეკრულებიდან.³⁸ მხარე, რომელმაც ხელშეკრულებისათვის შეესაბამოდ შეასრულა ვალდებულება, უფლებამოსილია, ხელშეკრულების კუთვნილი ნაწილის შესრულება მოსთხოვოს მეორე მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესრულების ნაკლი არსებითად ხელყოფს კონტრაქტის ლეგიტიმურ მოლოდინს.³⁹ ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ფუნდამენტური დარღვევის შესახებ კონცეფციაში, რომელიც ერთ-ერთი ძირითადია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მიხედვით, აქცენტი კეთდება მხარის ინტერესზე ვალდებულების შესრულებაში, ობიექტურად დამდგარი ზიანის მიუხედავად.⁴⁰ საუბარია მხარის ობიექტურ მოლოდინზე, რომელიც ხელშეკრულების პირობებშია ასახული.⁴¹ ასე რომ, ფუნდამენტურ დარღვევად განსაზღვრულია დარღვევა, რომელიც არსებითად ართმევს მხარეს იმას, რის მოლოდინის უფლებაც აქვს მას ხელშეკრულების მიხედვით.⁴² აქვე შემოდის სუბიექტური ელემენტიც – ვალდებულების დამრღვევმა მხარემ იცოდა, ან შეეძლო და უნდა სცოდნოდა მოსალოდნელი შედეგის შესახებ. ორივე ეს პირობა კუმულატიურია, შესაბამისად, თუკი მხარეს არ განუჭვრეტია და არც შეეძლო განეჭვრეტა შეუსრულებლობის კონკრეტული შედეგი, დარღვევა ფუნდამენტური არ არის. უნდა ითქვას, რომ ფუნდამენტური დარღვევის ერთიანი კონცეფცია მაინც ბუნდოვანი რჩება, რადგან დამოკიდებულება იცვლება კონკრეტული გარემოებების შედეგად.⁴³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებას და ამასთანავე აღნიშნული პირობების არსებითობის განსაზღვრას, ვინაიდან, არაარსებით პირობებზე შეთანხმებლობა ან მათი ბათილობა ხელშეკრულების ბათილობას არ იწვევს. კანონი არ

³⁸ Treitel, *The Law of Contract*, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 676.

³⁹ იქვე, 676-677.

⁴⁰ Schlechtriem, *Uniform Sales Law-The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods*, available at <www.law.pace.edu/cisg/text/treaty>, 1-3, (05.01.08.).

⁴¹ იქვე, 3.

⁴² *United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) CISG*, The UN-certified English text is published in 52 *Federal Register* 6262, 6264-6280 (March 2, 1987); art. 25.

⁴³ Huber, *CISG-The Structure of Remedies*, Reproduced with Permission of 71 *Rebels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht* (January 2007) 13-34, Presentation at seminar: *The Convention on the International Sale of Goods. The 25-th Anniversary: Its Impact in the Past; Its Role in the Future*, German Society of Comparative Law, Private Law Division, Conference 2005 (22-24 September) Würzburg, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2007

განსაზღვრავს არსებითი პირობების ჩამონათვალს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. აქედან გამომდინარე, არსებით პირობათა წრე ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შესაბამისად განისაზღვრება მხარეთა მიერ და როგორც წესი ის არ არის მრავალრიცხოვანი. შესაძლებელია ითქვას, რომ არსებითად უნდა ჩაითვალოს ის პირობები, რომლებიც გამოხატავენ შესაბამისი ხელშეკრულების ბუნებას. ტრადიციულად, როგორც დოქტრინის, ისე პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბდა საკითხთა წრე, რომელზედაც მხარეთა შეთანხმება აუცილებლადაა მიჩნეული - ესაა საგანი, ფასი და ხელშეკრულების ვადა. თუმცა, აღნიშნული ვერ იქნება გამოყენებული ყველა ტიპის ხელშეკრულების მიმართ. ვინაიდან, მხარემ შესაძლოა ისეთ პირობაზე მიუთითოს, რომელიც საერთოდ სცილდება ამ პირობათა ნუსხას. ანუ, პირობა, რომელიც ჩვეულებრივ არაა მიჩნეული არსებითად, შესაძლოა გახდეს ასეთი, თუ მხარის მიერ წინასწარ დასახელებული იყო, როგორც არსებითი. ჩვეულებრივ, ასეთი პირობა დამოკიდებულია ხელშეკრულების სახეზე, ერთ-ერთი მხარის განზრახვაზე.

4.1.2.1 ინგლისური სასამართლო პრაქტიკა არსებითი შეუსრულებლობის ცნების განსაზღვრისათვის

ინგლისური სასამართლოები მიმართავენ არსებითი და მიმდინარე პირობის კონცეფციას. ყოველი სახელშეკრულებო პირობა, გამოხატული თუ ნაგულისხმევი, არის მიმდინარე პირობა, ვიდრე არსებითად არ დაკვალიფიცირდება მხარის, კანონისა თუ სასამართლოს მიერ. მიმდინარე პირობის დარღვევა აფუძნებს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მეორად მოთხოვნის უფლებას ისე, რომ მხარე ვალდებული რჩება, განახორციელოს შესრულება. მიმდინარე პირობა შეეხება ხელშეკრულების ისეთ ელემენტებს, რომელთა დარღვევა მხარეს არ ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას იმ თეზისის საფუძველზე, რომ მცირე მნიშვნელობის დარღვევა ფულადი თანხითაც შეიძლება ანაზღაურდეს. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას სასამართლოები უკავშირებენ მხოლოდ არსებითი პირობის შეუსრულებლობას, ანუ პირობას, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა შესრულებისათვის.⁴⁴ სახელშეკრულებო პირობათა ასეთ დაყოფას შესაძლოა მივუსადაგოთ გერმანული კონცეფცია ძირითად და დამატებით ვალდებულებათა შესახებ, თუმცა საერთო სამართლის სისტემაში აღნიშნულ დაყოფას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისთვის.

⁴⁴ Zweigert, Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Oxford, 194-195.

სახელშეკრულებო პირობის იდენტიფიკაცია უმეტეს შემთხვევაში მხარეთა გამოხატულ განზრახვაზე დამოკიდებულია. ამიტომ პასუხი კითხვაზე, თუ რომელ კატეგორიაში ექცევა ესა თუ ის სახელშეკრულებო დანაწესი, თვითონ ხელშეკრულების შინაარსში უნდა ვეძებოთ.⁴⁵ თუკი მხარეთა განზრახვა ამოუცნობია, სასამართლო იკვლევს, რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული პირობის შესრულება ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით, მაგალითად, როცა მხარე აცხადებს, რომ არ გადაიხდის საფასურს, ვიდრე ნივთი, რომლის შესყიდვასაც აპირებს, კონკრეტული თვისების შესაბამისი არ იქნება. ამ შემთხვევაში პირობის არსებითად დაკვალიფიცირების განზრახვა აშკარაა.⁴⁶ სხვა შემთხვევაში სასამართლო შემოდის დამკვეთის სტატუსით, ვინაიდან იკვლევს სახელშეკრულებო პირობის კომერციულ მნიშვნელობას.⁴⁷

4.1.3 ხელშეკრულების დარღვევა

როგორც უკვე აღვნიშნე, ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია მხარეთა ურთიერთ მფარავი ნების არსებობა, რომელიც მიმართული იქნება საერთო ინტერესში მოქცეული სამართალ ურთიერთობის ფორმირებისაკენ. ხელშეკრულების არსებობის დასადგენად სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნორმებთან ერთად გამოსაყენებელია სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმებიც, (მაგალითისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი) რადგანაც ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებს მხარეთა ურთიერთ მფარავი ნამდვილი ნების გამოვლენა. ნების გამოვლენის რაიმე ნაკლის არსებობა იმთავითვე გამორიცხავს ნამდვილი, ურთიერთ მბოჭავი ხელშეკრულების არსებობას.

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებაზე უარის თქმის მატერიალური, საბაზისო წინაპირობაა. ასეთ დროს შეუსრულებლობა ერთგვარი იურიდიული ფაქტის შემადგენლობას აფუძნებს. კონკრეტული სამართლის წყარო – კანონი, სასამართლო თუ დოქტრინა – უთითებს, თუ რა შემთხვევაში შეადგენს განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებები ასეთ იურიდიულ ფაქტს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებაზე უარი ხელშეკრულებაში მონაწილე მხარის მიერ დასაშვებია, იმ შემთხვევაში როდესაც კონტრაქტის არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას. კანონი არ მიიჩნევს სავალდებულოდ მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ბრალეულ დარღვევას. საკმარისია მხოლოდ დარღვევის ფაქტიც.⁴⁸ ხელშეკრულება დარღვეულად

⁴⁵ Treitel, *The Law of Contract*, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 704.

⁴⁶ Substantial Failure in *TreiTel*, *The Law of Contract*, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 706-707.

⁴⁷ იქვე, 1995, 708-709.

⁴⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 506.

მიიჩნევა, თუ არ შესრულდა მისი რომელიმე არსებითი პირობა. ვალდებულება დარღვეულია, თუ მოვალემ განახორციელა ისეთი ქმედება, რაც არ შეესაბამება ვალდებულებათა წრესა და ვალდებულებით ურთიერთობას.⁴⁹ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი შეიძლება გახდეს ვალდებულების ნაწილობრივი დარღვევა. მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ კრედიტორისათვის აზრი დაკარგა. ვალდებულების დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი შეიძლება გახდეს: პირის იმ უფლებისა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რომელიც მას აქვს კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად, ესე იგი ვალდებულება ყოველთვის ირღვევა მაშინ, როდესაც მოვალე არღვევს სახელშეკრულებო ან წინა სახელშეკრულებო ვალდებულებას.⁵⁰ გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა ვერ გახდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი. მაგრამ, რა შეიძლება ჩაითვალოს ვალდებულების მნიშვნელოვან დარღვევად კონკრეტული შემთხვევის შეფასების შედეგად უნდა გადაწყდეს.⁵¹ მოცემულ ნაშრომში ძირითადი მსჯელობა წარმართება სწორედ ხელშეკრულების ძირითადი (არსებითი) დარღვევისა და მისი სამართლებრივი შედეგების შესახებ.

ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება რამდენიმე ფორმით გამოიხატოს, ძირითადად, ესენია: ვალდებულების შეუსრულებლობა, შესრულების ვადის გადაცილება, არაჯეროვანი შესრულება. თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, დარღვევის რომელი ფორმაა სახეზე, მთავარია, რომ დარღვევა იყო მნიშვნელოვანი. გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდელ პერიოდში გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გამოყოფდა დარღვევის ოთხ ტიპს: შესრულების შეუძლებლობას, შესრულების ვადის გადაცილებას, ხელშეკრულების პოზიტიურ დარღვევას (ვალდებულების დარღვევა, რომელიც განაპირობებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას) და არაჯეროვან შესრულებას.⁵² თუმცა რეფორმის შემდეგ ყველა ზემოაღნიშნული ფორმა გაერთიანდა ერთიან ცნებაში – ვალდებულების დარღვევა.⁵³ ძველი გერმანული სისტემის ნაკლად ის

⁴⁹ მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2004, 74.

⁵⁰ Wilmsky, მე-13 სქ., 3, ციტირებულია: ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 39.

⁵¹ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 506.

⁵² Schulte-Nolke, The New German Law of Obligations: an Introduction, <<https://www.iuscomp.org/gla/literature/schulte-noelke.htm>>

⁵³ Lowisch, New Law of Obligations in Germany, <<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred141.pdf>>

ითვლებოდა, რომ მეორადი მოთხოვნის უფლებებისათვის თითოეული დარღვევის მიმართ დაწესებული იყო განსხვავებული წინაპირობები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მიხედვით, ორმხრივი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა და არ არსებობს ისეთი განსხვავებული წინაპირობები დარღვევის რომელიმე სახისათვის, როგორც რეფორმამდე გერმანიაში.

4.1.3.1 ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება

ვალდებულების შესრულების ინსტიტუტი შეადგენს სამოქალაქო სამართლის ნაწილს. შესაბამისად, მის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კანონმდებლობის ის ძირითადი პრინციპები, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსითაა დადგენილი. გარდა ამისა, ვალდებულების შესრულებისათვის დამახასიათებელია საკუთრივ შესრულების მომწესრიგებელი პრინციპების მოქმედებაც.⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ტერმინი „ჯეროვანი“ შესაძლებელია აღვიქვათ ტერმინი „სრულფასოვანის“ სინონიმად. ვალდებულების ჯეროვანი, სრულფასოვანი შესრულება წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს. სწორედ ამიტომ, მას უკავშირდება ვალდებულების შეწყვეტა. კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს ჯეროვან (სათანადო) და არაჯეროვან (არასათანადო) შესრულებას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოვალე ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, თუმცა შესრულება არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. არაჯეროვანი შესრულება გულისხმობს შესრულების შინაარსის ან სახის განსხვავებას ისეთი შესრულებისაგან, როგორც კანონმა განსაზღვრა ან მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს.⁵⁵ აქვე შეიძლება ითქვას, რომ არაჯეროვანი შესრულებისას მოვალის მიერ ვალდებულება, მართალია, სრულდება, თუმცა შესრულებას ხარვეზი გააჩნია.⁵⁶ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ვალდებულება არ წყდება და როგორც წესი, შედეგად იწვევს ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას.⁵⁷ ხელშეკრულების მიზანია მხარეთა ინტერესების

⁵⁴ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 372.

⁵⁵ მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004, 82

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 28 მარტის N ას-282-266011 გადაწყვეტილება.

⁵⁷ ძლიერიშვილი ზ. ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 11.

უზრუნველყოფა, თუ ეს პირობა არ კმაყოფილდება და ვალდებულება სრულდება არასრულფასოვნად, არაჯეროვანი შესრულება განიხილება როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა და ინვესტ მეთოდი მოთხოვნის უფლებების წარმოშობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 379-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. მოვალეს არა აქვს უფლება, დამოუკიდებლად შეცვალოს შესრულების საგანი.⁵⁸ მოვალის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული მოქმედების განხორციელება უნდა განვიხილოთ როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა.⁵⁹

4.1.3.2 ნაკლიანი შესრულების არსი ხელშეკრულებიდან გასვლის კონტექსტში

ამ თავში განხილულია ნაკლიან შესრულებასთან დაკავშირებული სპეციფიკა. როგორც აღინიშნა, ხელშეკრულებიდან გასვლის მთავარი მაპროვოცირებელი არის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების არსებითი პირობის დარღვევა. არსებით პირობად კი შესაძლებელია განისაზღვროს ხელშეკრულების მონაწილის ნებისმიერი სურვილი, რასაც მომავალში შესაძლებელია მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. თუმცა, თითქმის ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობაში არსებითია ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულება, რომლის დარღვევა ყველაზე ხშირად ნაკლიანი შესრულებით გამოიხატება.

კრედიტორისთვის ნაკლის მქონე ნივთის მიწოდება უმეტეს შემთხვევაში, ხელშეკრულების არსებითი პირობის დარღვევად შეიძლება დავაკვალიფიციროთ. მაგალითად, ნაკლიანი ნივთის მიწოდების დროს ნაკლი შეგვიძლია გავმიჯნოთ ნივთობრივ და უფლებრივ ნაკლად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თუ სახეზეა ნივთობრივი ნაკლი, გამყიდველმა უნდა გამოასწოროს იგი, ან გვაროვნული ნივთის შემთხვევაში უნდა შეცვალოს სხვა ნივთით. თუ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია, მყიდველი ამ შემთხვევაში ნაკლის გამოსწორებას ვერ მოითხოვს, რადგან ნივთი თავისთავად უნაკლოა, მაგრამ სულ სხვა ნივთია. ასეთ დროს მყიდველმა შეიძლება მოითხოვოს ფასის შემცირება, მაგრამ თუ მყიდველს ფასის შემცირების

⁵⁸ ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 323.

⁵⁹ იქვე, 2001, 324.

ინტერესიც აღარ აქვს, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება რჩება.⁶⁰ უფლებრივ ნაკლს აწესრიგებს გერმანულ და ქართულ სამართლებრივ სისტემაში ერთგვაროვანია. იმისათვის, რომ ნივთი ჩაითვალოს უფლებრივი ნაკლის არმქონედ, მესამე პირებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება და პრეტენზია ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით. თუმცა, ვხვდებით განსხვავებასაც. კერძოდ, გერმანული მოდელის მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირის უფლებები იყოს ნამდვილი და რეალური.⁶¹ ქართული მიდგომის თანახმად, კი თუ უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, თუნდაც არეალური იყოს, უთანაბრდება უფლებრივ ნაკლს.⁶²

საინტერესოა განვიხილოთ ფრანგული სამართლის მიდგომა. აღნიშნულ სამართლებრივ სისტემაში შეუსრულებლობის სერიოზული ხარისხი ცალკე კრიტერიუმად გამოკვეთილი არ არის, ვინაიდან იგი სასამართლო დისკრეციას განეკუთვნება. გარდა ამისა, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ე.წ. საგარანტიო პასუხისმგებლობის პრინციპს ნივთის ფარული ნაკლისათვის. აღნიშნული პრინციპი გამიზნულია შემთხვევისათვის, როცა მყიდველმა ნივთი უკვე მიიღო, მაგრამ ფარული ნაკლი მოგვიანებით აღმოაჩნდა. კოდექსი ნაკლიანი შესრულების სამართლებრივ მონესრიგებაში ცალკე გამოყოფს ნივთის მიღების მომენტს და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს უკავშირებს მას. კერძოდ, საქონლის მიღებამდე მყიდველი უფლებამოსილია, მიმართოს მეორად მოთხოვნის უფლებათა მთელ სპექტრს, მათ შორის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის მეორად მოთხოვნის უფლებას, საქონლის მიღების შემდეგ კი მყიდველი საგარანტიო პასუხისმგებლობის პრინციპს ეყრდნობა.⁶³ ნივთის მიღების შემდეგ შეიძლება გამოყენებული იყოს ხელშეკრულების გაუქმებისა და ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებები. გამოდის, რომ ნივთის მიღებამდე მყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლის, ხოლო ნივთის მიღების შემდეგ ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მყიდველს შეუძლია, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა. ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ტერმინოლოგიურად გამიჯვნის პრობლემა

⁶⁰ Palandt, Putzo, BGB, 2003, §434, Rn. 45 ff, m.w.N ციტირებულია: მესხიშვილი, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 34.

⁶¹ Wilmowsky, მე-13 სქ., 3, ციტირებულია: ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 39.

⁶² Lowisch, New Law of Obligations in Germany, <<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/r1r20/Manfred141.pdf>> (12.01.2008).

⁶³ Beale, Kötz, Hartkamp, Tallon, eds., Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 756-760.

სამოქალაქო სამართალს წითელ ხაზად გასდევს. ერთადერთი შემთხვევა როცა მყიდველი ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას კარგავს, ესაა, როცა მან იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს, ან თუკი მყიდველმა ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში არ წარუდგინა თავისი პრეტენზია მოვალეს. თუმცა აღნიშნული დათქმები ცოტა გაურკვეველია. პირველ შემთხვევაში ხელშეკრულების დადებისას ნივთის ნაკლის ცოდნა შეიძლება გულისხმობდეს ნაკლიან ნივთზე შეთანხმებას, ამიტომ აქ სავარაუდოა რომ ნაგულისხმევია ნივთის მიღების ეტაპი. ხოლო მეორე შემთხვევაში კანონი მითითებას აკეთებს მენარმე სუბიექტებზე, ხოლო არა მენარმე სუბიექტების მიერ შეტყობინების ვალდებულების გონივრულობა ღიად არის დატოვებული.

4.1.3.3 ნაწილობრივი დარღვევის ცნება

სამოქალაქო სამართალი იცნობს ნაკლიანი შესრულების დროს საქონლის ნაწილობრივ მიღების უფლებას. თუმცა, აღნიშნული თავის მხრივ, არ გამოირიცხავს მყიდველის მიერ მეორადი მოთხოვნის უფლებათათვის მიმართვას დანარჩენ ნაწილთან მიმართებით. გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლისათვის ცნობილია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლას შესაძლებლობა ნაკლიანი შესრულების დროს. ეს ერთგვარად პროგრესული ინსტიტუტია. ხელშეკრულების ნაკლიანი შესრულება თავისთავად ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებად შეიძლება იყოს მიჩნეული. გერმანული კოდექსი ნაკლიან შესრულებასთან მიმართებით არ უშვებს მხარის შესაძლებლობას, ნაწილობრივ გავიდეს ხელშეკრულებიდან.⁶⁴ ამ დროს კრედიტორის ინტერესი, ნაწილობრივ გათავისუფლდეს შესრულების ვალდებულებისაგან, ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებით არის დაცული, იგი იღებს ნაკლიან შესრულებას და შეუსაბამობის თანაბარზომიერად იხდის შემცირებულ ფასს. ამგვარად, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება,⁶⁵ რომ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის ინსტიტუტი. აღნიშნული განმტკიცებულია იმით, რომ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლებას იგივე წინაპირობები უძღვის წინ, რაც ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას, გარდა იმისა, რომ დარღვევა უნდა იყოს მნიშვნელოვანი. სწორედ მოცემულ კონცეფციას უსვამს ხაზს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი თავისი ფორმულირებით. კერძოდ, კრედიტორი უფლებამოსილია, ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად მოითხოვოს ფასის შემცირება... ქართული კოდექსის 492-ე მუხლი ფასის შემცირების მოთხოვნას ნაკლის გამოსწორებისა და ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებებს შორის შუალედურ ადგილს მიაკუთვნებს. რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ კრედიტორს მხოლოდ მაშინ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, როცა დანარჩენი შესრულების მიმართაც კარგავს ინტერესს.

⁶⁴ Markesinis, Unberath, Johnston, *The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 426-427

⁶⁵ იქვე.

შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების არსებით პირობებზე კეთდება აქცენტი, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს შეფასებული. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევა უნდა გაიმიჯნოს ნაკლიანი შესრულებისგან.⁶⁶ აღნიშნული განსხვავება იმაზეა დამოკიდებული ვალდებულება გაყოფადია, თუ გაუყოფადი. ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში შემოღებულია პერიოდულად შესასრულებელი ხელშეკრულების ცნება. შესრულების ერთი ნაწილის შეუსრულებლობა თუ შეუსაბამობა ხელშეკრულებასთან მთლიანად ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს იძლევა მხოლოდ მაშინ, როცა აღნიშნული არსებითად ხელყოფს მთლიანად ხელშეკრულების მიზანს. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში⁶⁷ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შემზღუდავ გარემოებად არის მიჩნეული, თუმცა ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების ფაქტი თავისთავად არ კრძალავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას თუ საბოლოო შედეგად მხარის მიერ ხელშეკრულების შესრულების ინტერესის დაკარგვა მოჰყვება. შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ უშვებს ხელშეკრულებიდან ნაწილობრივად გასვლის შესაძლებლობას, რადგან ასეთის დაშვება იქნებოდა ხელშეკრულების შეცვლის ტოლფასი, აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს ხელშეკრულებიდან მხოლოდ მთლიანად გასვლის შესაძლებლობას.

4.1.3.4 შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახე

შესრულების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის კონკრეტული შემთხვევა, შეიძლება ითქვას, გამორჩეული სამართლებრივი შემთხვევაა. გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობა შესრულების შეუძლებლობას განსაკუთრებულ სამართლებრივ შედეგს უკავშირებს, თუმცა მიიჩნევს, რომ ის მაინც სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების სამართლებრივ რეჟიმში რჩება. შესრულების შეუძლებლობისას მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან, თუმცა შეუძლებლობა, მოვალის ბრალის მიუხედავად, აფუძნებს შეუსრულებლობას, აქედან გამომდინარე ვალდებულების დარღვევას. შესაბამისად, კრედიტორისათვის მეორად მოთხოვნის უფლებათა მთელი სპექტრი, რომელიც ვალდებულების დარღვევისას იარსებებდა, კვლავ რჩება ხელმისაწვდომი. ასეთ დროს დამატებითი ვადის დანესება საჭირო აღარ არის. ამრიგად, ხელშეკრულების დარღვევის ერთიანი კონცეფცია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისათვის ერთიან პირობებს არ გულისხმობს.

⁶⁶ იქვე, 2006 428-429

⁶⁷ Treitel, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 726-727.

ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელება დარღვევის სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს საჭიროებს. აქედან გამომდინარე კანონმდებლობა კვლავ დარღვევის არსებითობის შეფასებისკენ მიდის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვალის ბრალეულობიდან გამომდინარე, მის მიმართ დამდგარი ნებისმიერი სამართლებრივი შედეგის შემთხვევაში კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების ხელმისაწვდომობა რჩება. ცხადია, მოცემული საკითხის სამართლებრივი რეგლამენტირების დეფიციტია ჩვენს კანონმდებლობაში, კერძოდ, გაურკვეველია თუკი შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების დარღვევაა 405-ე მუხლის გაგებით, რამდენად ხელმისაწვდომია მეორად მოთხოვნის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული წრე. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწავლას. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში კონკრეტული საკითხის გადაჭრა გერმანული მოდელის მიხედვით განისაზღვრება.

4.1.4 ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას

მოცემულ თავში განხილულია ვადა, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობა და მოვალის მიერ ვადის გადაცილების, როგორც შეუსრულებლობის ერთ-ერთი სახის, სპეციფიკა, ვინაიდან სამოქალაქო უფლების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება, როგორც წესი, დამოკიდებულია განსაზღვრული პირობების დადგომაზე. კერძოდ, აღსანიშნავია მოთხოვნის სამართლებრივი განხორციელებადობა.⁶⁸ მოთხოვნის განხორციელებადობის საკითხის შემოწმებისას ვადებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. მოთხოვნა განხორციელებადად რომ ჩაითვალოს, ამ მოთხოვნის შესრულების ვადა უნდა იყოს დამდგარი.⁶⁹

4.1.4.1 ვალდებულების შესრულების ცალკეული ვადები

სამოქალაქო სამართალში შესრულების ვადები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.⁷⁰ აღნიშნული ვადები ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც ხანგრძლივობის, ასევე, წარმოშობის წყაროს მიხედვითაც. შეიძლება განვასხვავოთ ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო, კანონისმიერი, სასამართლოს მიერ განსაზღვრული, ცალმხრივი ნებით დადგენილი და გარემოებებიდან გამომდინარე ვადები.⁷¹ ვადაში, როგორც წესი იგულისხმება

⁶⁸ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2011, 117 <<https://tsulawyers.weebly.com/online-library.html>>.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ Brox, Walker, Allgemeines Schuldrecht, 36 Auflage, Munchen, 2012, S. 134.

⁷¹ ძლიერიშვილი ზ. ვალდებულების შესრულება, 2006, 55.

დროის განსაზღვრული პერიოდი, რომლის დადგომა ან გასვლა ინვესტორს უფლებებისა და ვალდებულების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.⁷²

4.1.4.2 დამატებითი ვადის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევები და ვადა, როგორც ხელშეკრულების არსებითი პირობა

პრაქტიკაში სირია შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის მსურველ მხარეს არ ეკისრება დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების ვალდებულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლისას აუცილებელი არ არის დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ:

- აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება ე.ი., თუ ცხადია, რომ დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება უშედეგოდ ჩაივლის;
- ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;
- განსაკუთრებული საფუძვლიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.

პირველ შემთხვევაში, ვარაუდი იმისა, რომ დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება უშედეგო იქნება, უნდა ემყარებოდეს ობიექტურ გარემოებებს, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტების შეფასების საგანს წარმოადგენს. არ შეიძლება ასეთ ვითარებაში მოიაზრობდეს შექმნილი ვითარების მიმართ კრედიტორის სუბიექტური დამოკიდებულება. მეორე შემთხვევაში, კი ნაგულისხმევია, ისეთი შემთხვევა, როდესაც კრედიტორი ვალდებულების შესრულებას რაიმე კონკრეტულ თარიღს უკავშირებს. ამ თარიღის დადგომისას ვალდებულების შეუსრულებლობა კი კრედიტორს საერთოდ უკარგავს ვალდებულების შესრულების ინტერესს. დამატებითი ვადის წინაპირობა აბსოლუტური არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონით მისთვის გამონაკლისი შემთხვევებია გათვალისწინებული. ამ მხრივ ყველაზე მრავალფეროვანი გერმანული სახელშეკრულებო სამართალია, სადაც მოცემული წინაპირობა ყველაზე დეტალურადაა მონესრიგებული. ერთ-ერთ გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს ის ფაქტი, როცა შესრულება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, შესრულების შეუძლებლობისას აშკარაა, რომ ვადის დაწესებას არავითარი შედეგი არ მოჰყვება და მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ცალკე გამოყოფს ისეთ შემთხვევას, როცა მოვალე აშკარად და საბოლოოდ ამბობს უარს

⁷² ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, 306.

შესრულებაზე.⁷³ ქართული შესაბამისი 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ფორმულირება კი ასეთია: აშკარაა, რომ დამატებით ვადას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. აღნიშნული ჩანაწერი სავარაუდოდ აერთიანებს ორივე შემთხვევას. პირველი, როცა შესრულება შეუძლებელია, მეორე, როცა მოვალე უარყოფს ვალდებულებას; გერმანულ სამართალს კი ეს შემთხვევები ცალკე გამოაქვს 275-ე III და 323-ე I პარაგრაფების სახით.

შესრულებაზე უარი ხელშეკრულების დარღვევის ცალკე შემადგენლობაა ინგლისურ სამართალში.⁷⁴ ინგლისურ ვერსიაში ცალკეა გამოყოფილი უარი შესრულების ვადის დადგომისას და შესრულების ვადის დადგომამდე.⁷⁵ დოქტრინაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების უარყოფას, რაც არ შეიძლება ითქვას მის ანალოგზე ევროპაში. ქართულ სამართლებრივ სივრცეში შესრულების განხორციელებაზე უარი ასევე არსად არ ფიგურირებს სამართლებრივი ურთიერთობის ცალკე ეტაპად. მას ვალდებულების დარღვევის ზოგადი და აბსტრაქტული ცნება შთანთქმავს, მაშინ როდესაც ინგლისურ სამართალში ცალკე მსჯელობა ეთმობა საკითხს, რა არის შესრულების განხორციელებაზე უარი – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზაცია.⁷⁶

ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების დროს განსაზღვრავენ ვალდებულების სუბიექტები. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს საკუთარი ნებისა და თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლიათ დაადგინონ შესრულების კონკრეტული დრო კონკრეტული ვალდებულებისათვის. ამასთან კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შესრულების დრო წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას, რაც თავისთავად ნიშნავს მხარეთა არა უფლებას, არამედ ვალდებულებას. შესაძლებელია, რიგ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ვადა წარმოადგენდეს არსებით პირობას, ხოლო რიგ შემთხვევაში ვადა იყოს ჩვეულებრივი პირობა.⁷⁷

შესაძლებელია მხარემ ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვროს კონკრეტული თარიღის ან პერიოდის მითითებით. შესაბამისად, შესრულებაც უნდა განხორციელდეს კონკრეტულ დღეს ან მხარის მიერ განსაზღვრულ პერიოდში. კონკრეტული თარიღის განსაზღვრისას მაინც რჩება კითხვის ნიშნები

⁷³ German Civil Code (BGB), Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

⁷⁴ Treitel, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 746.

⁷⁵ Anson, Bart., D.C.L, Principles of the English Law of Contract and of Agency in its Relation to Contract, 9th., Clarendon Press, Oxford, London and New York, 1899, 304-316.

⁷⁶ Treitel, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell London, 1995, 704

⁷⁷ ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, 2006, 56.

თუ დროის რა შუალედში განხორციელებული შესრულება ჩაითვლება ჯეროვან შესრულებად. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხშირია შემთხვევა, როცა ვალდებულების შესრულება შესაძლებელია, მაგრამ სრულდება მოგვიანებით. ამ შემთხვევაში პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი: რა გარემოებებში შეუძლია კრედიტორს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი თქვას მოგვიანებით შესრულებული ვალდებულების მიღებაზე.⁷⁸ როგორც უკვე ითქვა, ხშირ შემთხვევაში მხარეების მიერ ხელშეკრულებით დადგენილია შესრულების ვადა და თუ მოვალე ამ ვადაში არ ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს უფლება აქვს, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ამ დროს კრედიტორი ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ კონკრეტულ ვადას უკავშირებს. ამ ვადის გადაცილების გამო კი შესაძლოა, შესრულებამ შემდგომში დაკარგოს ინტერესი. შესრულების ვადა შეიძლება იყოს ხელშეკრულებაში მითითებული კალენდარული ვადა, ან ფაქტი, რომელსაც კრედიტორი უკავშირებს შესრულებას, ამიტომ ამ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა გაფრთხილების გარეშე ხდება.⁷⁹

ხელშეკრულებიდან გასვლა წინასწარი გაფრთხილების გარეშე მაშინ დგება, როდესაც ხელშეკრულებაში პირდაპირ ან ირიბად არის განსაზღვრული მისი შესრულების ვადები. ვადის დანესება არაა აუცილებელი, როდესაც მოვალემ შესრულება არ განახორციელა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორს სწორედ დროული შესრულების მიმართ ჰქონდა ინტერესი.⁸⁰ ეს კრედიტორის უფლებაა და არა ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს რჩება შესაძლებლობა, მოითხოვოს შესრულება ნებისმიერ დროს, დათქმული ვადის გასვლის შემდეგაც.⁸¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 286-ე პარაგრაფი გაცილებით კონკრეტულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლთან შედარებით, რადგან, გარდა იმისა, რომ მკატორდ განსაზღვრავს ვადის გადაცილების პირობებს, მაგალითად გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 286-ე II პარაგრაფი ადგენს, რომ ვადის გადაცილებისათვის გაფრთხილება არაა საჭირო, თუ შესრულების ვადა კალენდარულად არის განსაზღვრული. მაშინ, როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი არ აკონკრეტებს

⁷⁸ მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004, 131

⁷⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 I (ა) მუხლი

⁸⁰ ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით სამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 43.

⁸¹ Beale, Kötz, Hartkamp, Tallon, eds., Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 772-773.

კალენდარულ ვადას და მხოლოდ განმარტების შედეგად არის შესაძლებელი დავასკვნათ, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შეიძლება ვიგულისხმოთ კალენდარული ვადა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ვალდებულების შესრულების კალენდარული ვადა, კრედიტორი ვალდებულია, გააფრთხილოს მოვალე და მხოლოდ გაფრთხილების შემდეგ არის უფლებამოსილი, გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ მოვალე კრედიტორის მიერ შესრულების ვადის დადგომის შემდეგ გაფრთხილების შემთხვევაშიც არ ასრულებს ვალდებულებას. გაფრთხილება ამ შემთხვევაში ასრულებს შესენების ფუნქციას, ამით კრედიტორი აფრთხილებს მოვალეს, რომ დაუყოვნებლივ შეასრულოს ვალდებულება, მის გარეშე მოვალე ვადის გადამცილებელ პირად არ ჩაითვლება.

ფრანგული სამართალი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელშეკრულებით შესრულების ზუსტი დროა განსაზღვრული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება, თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით, დროის განსაზღვრულ მონაკვეთშია შესრულებადი, მოსამართლის დისკრეციას უთმობს გადასაწყვეტად საკითხს დამატებითი ვადის დაწესების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ის ამას აკეთებს, იმავდროულად გამოსცემს სასამართლო ნებართვას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, გადანაცვტილებას განსაზღვრული დროის უშედეგოდ გასვლიდან გამომდინარე.⁸²

ინგლისური სამართლის მიდგომა კი არ არის მოდელური, არამედ კაზუსტურია. შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელიც ასე გარდაუვალია გერმანულ სამართალში, ანგლო-ამერიკული მიდგომით მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია მინიჭებული მხარისათვის.⁸³ ინგლისელები პრაქტიკული მოსაზრებით ხელმძღვანელობენ და უმეტესად გამორიცხავენ ამ მოთხოვნის უფლებას, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე. ინგლისური სამართლის მიხედვით, მხარე უფლებამოსილია და არა ვალდებული, გარკვეული დრო მისცეს მოვალეს.⁸⁴ გერმანულისაგან განსხვავებით, სადაც დამატებით დათქმული დროის უშედეგოდ გასვლა ავტომატურად ხელშეკრულებაზე უარის თქმის მეორად მოთხოვნის უფლებას აღმოაცენებს, ინგლისურ სამართალში ასე არ არის. გარდა ამისა, ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში შესრულების ვადასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო პირობებს ცალკე ადგილი ეთმობა,

⁸² “To put the debtor in default”, in: Zweigert/Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Clarendon Press, Oxford, 187.

⁸³ Ebke and Finkin, Introduction to German Law, Kluwer Law International, The Hague-London-Boston, 1996, 183-187.

⁸⁴ Treitel, The Law of Contract, 9th., Sweet and Maxwell, London, 1995, 742-743.

აქ მიღებული ტერმინია ხელშეკრულებისათვის არსებითი დათქმა,⁸⁵ რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო სვამს კითხვას, – რამდენად არსებითია დათქმა შესრულების ვადის შესახებ? – როცა ხელშეკრულება ამკარად გამოხატავს ამას, ან თვით კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს დანაწესის ასეთი ხასიათი. კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობათა სპეციფიკის გათვალისწინებით, ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში შესრულების ვადის აღმნიშვნელ სახელშეკრულებო პირობათა კლასიფიკირების ტენდენციაა, მაგალითად, გემის გამჭირავებლის მიერ შეთანხმებული მგზავრობისათვის გემის ადგილზე მიყვანის დაგვიანება არსებითად ითვლება.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ კონვენცია ხელშეკრულებიდან გასვლის ძირეულ, ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობად არსებით დარღვევას ასახელებს. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ასეთი დარღვევის ობიექტურ ფაქტზე აღმოცენდება.⁸⁶ არავითარი დამატებითი ვადა ამისთვის საჭირო არ არის, თუმცა მოთხოვნა შეუსრულებლობის არსებითობის შესახებ აკომპენსირებს მხარის შესაძლებლობას, დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან.

4.1.5 დამატებითი ვადა და გაფრთხილება

4.1.5.1 დამატებითი ვადის გამოყენების წინაპირობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს, კერძოდ მიუთითებს დამატებითი ვადის დადგენის ვალდებულებაზე. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მხოლოდ მის მიერ შესრულებისათვის განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ. აღნიშნული ჩანაწერი ცხადყოფს, რომ კანონმდებლის მიზანს წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული სამართალ ურთიერთობის შენარჩუნება. შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება ვალდებულების შესრულებას და არა სამართლებრივი ურთიერთობის შესრულებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების პრიმატი - „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“ პრიორიტეტულია.

ისევე როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობად

⁸⁵ “Essence of the Contract”, see in Treitel, The Law of Contract, 9th ed., London, Sweet and Maxwell, 1995, 738-739.

⁸⁶ Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract-A Comparative Treatise, 2nd., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 422-423.

დამატებითი ვადის დაწესებას განიხილავს. ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც ინვესტ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ანულირებას, არ შეიძლება განხორციელდეს მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად ხელმეორე შესაძლებლობის მიცემის გარეშე.⁸⁷ დამატებითი ვადის დაწესება გერმანული სამართლის მიერ ვალდებულების ნატურით შესრულებისა და ხელშეკრულების შენარჩუნების უპირატესობის აღიარების მიზანს ემსახურება.⁸⁸ დამატებით ვადას მოვალის ინტერესების დაცვის ფუნქცია აქვს.⁸⁹ აქედან გამომდინარე, დამატებითი ვადა არის ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი წინაპირობა, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენება ყოველთვის, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც დასაშვებია ხელშეკრულებიდან გასვლა დაუყოვნებლივ, დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. აღნიშნული საკითხი განხილული იქნება მოგვიანებით.

4.1.5.2 დამატებითი ვადის ხანგრძლივობა

დამატებითი ვადა მოვალეს აძლევს კიდევ ერთ შესაძლებლობას, შეასრულოს ხელშეკრულება, ან გამოასწოროს ნაკლის მქონე შესრულება. აქედან გამომდინარე, ამ შესაძლებლობის პრაქტიკულად განხორციელების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დამატებითი ვადის ხანგრძლივობა. დამატებითი ვადა უნდა იყოს გონივრული, რათა მოვალეს მიეცეს რეალური შესაძლებლობა, შეასრულოს ვალდებულება.⁹⁰ ვადის გონივრულობის მოთხოვნა უნდა ემსახურებოდეს ასევე კრედიტორის ინტერესებს, მით უმეტეს, როცა შესრულებისას ვადის დაცვას კრედიტორისათვის აქვს გარკვეული მნიშვნელობა. „გონივრული ვადა“ შეფასებითი კატეგორიაა. ყველა შემთხვევაში მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებით.⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ განჩინებაში განმარტავს გონივრულ დროს: "რაც საკმარისი იქნება ვალდებულების დამრღვევი მხარის ნების სარწმუნოდ გამოსავლენად და მისაღებად."⁹² აქედან გამომდინარე, გონივრული

⁸⁷ Schlechtriem, The German Act to Modernize the Law of Obligations in the Context of Common Principles and Structures of the Law of Obligations in Europe <<http://ouclf.iuscomp.org/articles/slechtriem2.shtml>> (23.01.2008).

⁸⁸ Markenis/Unberath/Johnston, The German Law of Contract, A Comparative Treatise, Second Edition, Oxford and Portland, Oregon, 2006, 388.

⁸⁹ იქვე, 2006, 401.

⁹⁰ Markenis, Unberath, Johnston, The German Law of Contract, A Comparative Treatise, Second Edition, Oxford and Portland, Oregon, 2006, 400.

⁹¹ ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 290.

⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება (20.01.2006წ.) ას-946-1203-05

ვადის ხანგრძლივობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით.

4.1.5.3 გაფრთხილების ფუნქცია და გაფრთხილების გამოყენების წინაპირობები
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილი, ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატიულ პირობას წარმოადგენს გაფრთხილება. იგივე დანაწესია გათვალისწინებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლშიც. აღნიშნული მუხლები დამატებით ვადას უთანაბრებენ გაფრთხილებას იმ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე არ გამოიყენება დამატებითი ვადა.⁹³ გაფრთხილება არის მოთხოვნა, რის საფუძველზეც კრედიტორი ავალდებულებს მოვალეს, შეასრულოს ვალდებულება. გაფრთხილების ფუნქცია, პირველ რიგში, არის შესენება მოვალისათვის, რომ კრედიტორი ითხოვს ვადამოსული ვალდებულების შესრულებას.⁹⁴ გაფრთხილება უნდა იყოს გასაგები და ერთმნიშვნელოვანი, ასევე განსაზღვრული.⁹⁵ გაფრთხილებას, დამატებითი ვადის მსგავსად, ცალმხრივი ხასიათი აქვს, მთავარია, აუცილებლად მიუვიდეს მოვალეს. კრედიტორს შეუძლია, მოვალე გააფრთხილოს შესრულების ვადის დადგომისას. ვადის დადგომამდე განხორციელებული გაფრთხილება ბათილია და არც ვადის დადგომის შემდეგ იძენს იურიდიულ ძალას.⁹⁶ თუ მოვალე ვალდებულია, ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, რამდენიმე ვალდებულება შეასრულოს, ასეთ დროს კრედიტორი ვალდებულია განსაზღვროს, რომელ შესრულებას უკავშირდება გაფრთხილება.⁹⁷

4.1.5.4 განსხვავება დამატებითი ვადასა და გაფრთხილებას შორის
გაფრთხილების თავისებურება ისაა, რომ კრედიტორი კი არ განუსაზღვრავს მოვალეს დარღვევის გამოსწორების ვადას, არამედ კონკრეტული ურთიერთობიდან ამოიცინობა, რა ხანგრძლივობის ვადაა საჭირო საამისოდ.⁹⁸ თუ დამატებითი ვადის დანესებისას კრედიტორი მოვალეს განუსაზღვრავს კონკრეტულ ვადას ვალდებულების შესასრულებლად (მაგალითად,

⁹³ Zimmermann, Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Roma 2002, 38 <<http://w3.uniroma1.it/idc/centro/publications/48zimmermann.pdf>> (15.12.2007).

⁹⁴ მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004, 78.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ Palandt, Heinrichs, 2003, BGB §286, Rn.19, ციტირებულია: ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004, 78.

⁹⁸ ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურია (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 436.

ვალდებულება უნდა შესრულდეს 1-ლ აპრილამდე) და ხელშეკრულებიდან გასვლას ვერ განახორციელებს დამატებითი ვადის უშედეგოდ ამონურვამდე, გაფრთხილების შემთხვევაში არ არის აუცილებელი, კრედიტორმა მოვალეს დაუნესოს ვადა ვალდებულების შესრულებისათვის. თუმცა არსებობს იმგვარი გაფრთხილებაც, რომელიც შესრულებისათვის ვადებს ანესებს. ასეთ შემთხვევაში საეჭვოობისას მოცემული ვადა იწყება გაფრთხილების თარიღით და არა მაშინ, როცა მოვალეს გაფრთხილება მიუვა. გაფრთხილება შეიძლება მოხდეს კონკლუდენტურად, მოვალისათვის ანგარიშის გადაგზავნით, რაც თავისთავად იწვევს ვადის გადაცილების მომენტის დადგომას.⁹⁹

5 ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების მნიშვნელობა

"ყოველ სოციალურ და, შესაბამისად, ყველა სამართლებრივ სისტემაში - საკითხები წარმოიქმნება იმ შედეგების შესახებ, რომელიც ხელშეკრულების მხარემ უნდა გაითვალისწინოს ამ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში. შესაძლებლობები, უდანაშაულო მხარისთვის სამართლებრივი დაცვის მისაღებად, ზოგადად მრავალფეროვანია."¹⁰⁰ ხელშეკრულების დარღვევა ყოველთვის აძლევს მხარეს არჩევანის თავისუფლებას, მაგრამ ყოველთვის არ არის გულისხმობს შეწყვეტის უფლებას. გერმანულ სამართალში ხელშეკრულებიდან გასვლა მხარის განცხადებით ხორციელდება, აღნიშნულს განამტკიცებს გერმანული სამოქალაქო კოდექსი, რომელის ჩანაწერიც იმდენად ლაკონური და უპირობოა, რომ აშკარაა, კოდექსი ამ წესიდან არავითარ გამონაკლისს არ უშვებს. როდესაც მოთხოვნა დამატებითი ვადის დაწესების შესახებ დღის წესრიგიდან იხსნება, კეთილსინდისიერმა მხარემ დროულად უნდა განახორციელოს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება, ეს უკანასკნელი რომ არ გაქარწყლდეს.¹⁰¹ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, როგორც აღმჭურველი უფლება, ნებისმიერ დროს შეიძლება იყოს გამოყენებული, თუკი არსებობს ამის საფუძველი. თითქმის ყველა სამართლის სისტემა აღიარებს, რომ

⁹⁹ მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004, 78.

¹⁰⁰ T. Wagner, Limitations of Damages for Breach of Contract in German and Scots Law, A Comparative Law Study in View of a Possible European Unification of Law, "Comparative Law Rechtsvergleichung, Hahnse Law Review" 2014, vol. 10, No. 1, 73.

¹⁰¹ Lando and Beale, Principles of European Contract Law, Parts I and II, Combined and Revised, Prepared by The Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/ Boston, 416-417.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განსაზღვრული პერიოდით შებოჭვის საჭიროება დგას.

მიზანშეწონილია, ეს მოთხოვნა გამოიკვეთოს ქართული სამართლითაც. ფრანგულ სამართალში დამყარებულია მიდგომა, რომლითაც ხელშეკრულება ნებისმიერ შემთხვევაში მხოტავია მონაწილე მხარეთათვის ისე, რომ დაუშვებელია, სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთ-ერთი მხარის ნებით შეწყდეს. ეს მიდგომა სერიოზულ პრაქტიკულ სირთულეს წარმოადგენდა, ვინაიდან სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთგვარად უძრავ მდგომარეობაში რჩებოდა, მანამ, სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამიტომაც ჩამოყალიბდა წესი, რომლის თანახმადაც, კეთილსინდისიერი მხარე უფლებამოსილია, სასამართლოსათვის მიმართვის მომენტამდე ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განუცხადოს მეორე მხარეს.¹⁰² გარდა ამისა, ფრანგული სასამართლო დისკრეცია ასევე შესუსტებულია მხარეთა უფლებით, ხელშეკრულების დადებისთანავე განსაზღვრონ დარღვევები, რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს შეადგენენ. მხარეების მიერ დელეგირებულ ამ უფლებამოსილებას, როგორც წესი, მათი ადვოკატები და ბიზნესმენები ახორციელებენ.¹⁰³ ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ მხარეები შესაძლოა, შეთანხმდნენ შეტყობინების მანდატორულ ხასიათზე. ასე რომ, ხელშეკრულებიდან გასვლას წინ უნდა უძლოდეს განსაზღვრული გაპროტესტება.

ზოგიერთ სამართლებრივ სისტემებში მხარის მიერ შეტყობინების ფორმა მკაცრადაა განსაზღვრული და მოითხოვება მისი წერილობითი ფორმით განხორციელება. ეს მნიშვნელოვანი დანაწესია, რადგან კრედიტორის დისკრეციულ უფლებამოსილებას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს, ხოლო მოვალისათვის განსაზღვრულ დამცავ ფუნქციას ასრულებს. თუკი კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმა სურს, მან ამის შესახებ განცხადება გონივრულ დროში უნდა გააკეთოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობას კი სერიოზული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გაქარწყლების სახით. მოცემული სამართლებრივი მოწესრიგება ნათელს ხდის, თუ რა სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს შეტყობინების ვალდებულებას, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების აუცილებელ პირობას.

¹⁰² Zweigert, Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Oxford, 1987, 188-189.

¹⁰³ იქვე.

6 ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება იწვევს ახალი ვალდებულების წარმოშობას – ორმაგი რესტიტუციის ვალდებულებას, ანუ მხარეებმა მიღებული შესრულება და სარგებელი უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს. ხდება ერთგვარი ვალდებულებითი ურთიერთობის ტრანსფორმაცია, ძველი სახით არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას, რომლის საფუძველიცაა ხელშეკრულება, ცვლის ახალი სახით წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის საფუძველიცაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილში ნახსენები „კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი“, კერძოდ კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი. ხელშეკრულებიდან გასვლას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სამართლებრივ ინსტიტუტს, ახასიათებს მისი რეალიზაციის შედეგად სპეციფიკური შედეგები. ხელშეკრულების შედგენის პროცესში მხარეები ითვალისწინებენ ამა თუ იმ სამართლებრივი ინსტიტუტების გამოყენებას. ის, თუ რა სამართლებრივი ინსტიტუტი იქნება მხარეთა მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული, ძირითადად დამოკიდებულია იმ შედეგზე, რა შედეგიც ღვება მხარეებისათვის მისი გამოყენებით.¹⁰⁴

ხელშეკრულებიდან გასვლა იმ მეორად მოთხოვნის უფლებათაგანია, რომელიც თავისი შინაარსით მხარის მხოლოდ მინიმალურ ინტერესს აკმაყოფილებს. კერძოდ, კანონმდებელი ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი უფლების გამოყენებას უშვებს იმ მიზნით, რომ მხარე არ დაზარალდეს და აღიდგინოს ის მდგომარეობა, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის წამოწყებამდე ჰქონდა. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლება.

თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, ცხადია, არაერთი სამართლებრივი ურთიერთობისთვის არის გათვალისწინებული. ასეთივეა სამართლებრივი შედეგი წარუმატებელი სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის. ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს სახელშეკრულებო ურთიერთობა მხოლოდ გარკვეული მომენტიდან კარგავს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომის მიზანს. ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს, მიუხედავად იმისა, ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებები აღარ არსებობს, ხელშეკრულება მბოჭავია მხარეთათვის სხვა ასპექტებში, კერძოდ, დამატებითი სახელშეკრულებო პირობები განაგრძობს მოქმედებას. ამრიგად, ხელშეკრულებიდან გასვლა არაერთარ სამართლებრივ შედეგს არ იწვევს დამხმარე პირობათა მიმართ. აქედან გამომდინარე, ეს პირობები აღნიშნული უფლების განხორციელების შემდეგაც ძალაშია. ზემოაღნიშნულით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის განხორციელება

¹⁰⁴ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 511.

ხელშეკრულებას, როგორც ინსტიტუტს არ აბათილებს. მნიშვნელოვანი გასვლის შემდგომი ვალდებულებები, რაზეც ზოგადად ვისაუბრეთ დავაკონკრეტოთ. ამისათვის კარგი იქნება გერმანული მოდელის მაგალითის განხილვა. გერმანული კოდექსი არ შეიცავს პირდაპირ დანაწესს ხელშეკრულებიდან გასვლის დროს შესრულების ვალდებულებისგან მხარეთა გათავისუფლების შესახებ, გარდა შესრულების შეუძლებლობისა.

ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმში მხარეთა შესრულების ვალდებულებები გადაიქცევა ვალდებულებებად, დააბრუნონ მიღებული შესრულებები. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მისი მონაწილე მხარეებისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ინსტიტუტი ჰგავს გარიგების ბათილობის შედეგს. თუმცა, ბათილობისაგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების დადებისას გამოვლენილი ნების ნაკლი, კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა ან თავად ხელშეკრულების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. გასვლის საფუძველია მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა ან ხელშეკრულების საფუძველმდები გარემოებების არსებითი ცვლილება.¹⁰⁵ ხელშეკრულებიდან გასვლას შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი. ესენია: მხარეთა მიერ მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება, იგივე ნატურით დაბრუნება; ფულადი ანაზღაურება ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში; ზიანის ანაზღაურება. თითოეული მათგანი მოგვიანებით იქნება მოკლედ განხილული.

6.1 თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა - ნატურით დაბრუნება

რა წესით ხდება თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა, ან რამდენად არის ეს ყოველთვის შესაძლებელი? გერმანული სამართალი მეტად დეტალურად განწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში. გერმანული სამართლის მიხედვით, რესტიტუცია სამ ეტაპად ხორციელდება. კერძოდ, პირველი ეტაპია ნატურით დაბრუნება, მეორე – შესრულებულის ღირებულების ანაზღაურება და, ბოლოს, ფულადი კომპენსაციის გამორიცხვა.¹⁰⁶ ფაქტობრივად, საუბარია იმაზე, თუ რა შემთხვევაშია შესრულების ნატურით დაბრუნების შეუძლებლობა საპატიო. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ასევე, უთითებს, რომ მხარეები ვალდებული არიან, დაუბრუნონ ერთმანეთს შესრულებით მიღებული სარგებელიც, რაც ზუსტად ასახავს თავდაპირველი მდგომარეობის მიღწევის მიზანს. ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დარღვევით არც ერთი მხარე არ უნდა დარჩეს მოგებული და

¹⁰⁵ იქვე, 2014, 512.

¹⁰⁶ Markesinis, Unberath, Johnston, *The German Law of Contract-A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 432-433

არც მეორე. ამასთან, თუკი მოვალეს შეეძლო და უნდა მიეღო განსაზღვრული სარგებელი გადაცემული შესრულების გონივრულად გამოყენების შედეგად და არ მიუღია, მან უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს დანაკარგი. ივარაუდება, ნივთი რომ კრედიტორთან ყოფილიყო, ის ამ სარგებელს მიიღებდა. ასეთი სახით დაანგარიშება შეიძლება ითქვას, სცილდება რესტიტუციის რეჟიმს და ზიანის ანაზღაურების ფორმას იძენს.

ქართულ სამოქალაქო კოდექსში ნატურით დაბრუნება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგია. აღნიშნულს ადგილი აქვს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ნატურით დაბრუნება შესაძლებელია. ნატურით დაბრუნება კი თავის მხრივ გულისხმობს ფაქტობრივად მიღებული შესრულების დაბრუნებას, ზუსტად იმ საგნის, რომელიც ერთმა მხარემ მეორე მხარისაგან მიიღო. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართლებრივი მომწესრიგებელი ნორმებით მხარეს არ აქვს არჩევანის თავისუფლება განახორციელებს ნატურით დაბრუნებას თუ გადაიხდის ფულად კომპენსაციას. ეს უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის დროს.¹⁰⁷ ფულადი კომპენსაციის დაკისრება მოვალისათვის ხორციელდება მხოლოდ განხორციელებული შესრულებისა და სარგებლის ფიზიკურად დაბრუნების შეუძლებლობის დროს ან მათი არ არსებობის გამო. ნატურით დაბრუნების ნაცვლად ფულადი კომპენსაცია ასევე გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე მიღებულ საგანს გაასხვისებს, გადააკეთებს ან თუნდაც უფლებრივად დატვირთავს. ყველა ეს შემთხვევა გულისხმობს, რომ ნივთი აღარ არსებობს უფლებრივი ან ნივთობრივი ნაკლის გამო.¹⁰⁸ თუმცა, ასეთ დროსაც არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი ფულადი კომპენსაციის წარმოშობის ვალდებულებას ზღუდავს.

ფრანგული მოდელის თანახმად, იმ მომენტიდან, როცა ნათელია ხელშეკრულებიდან გასვლის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, მხარე, ისევე როგორც ნებისმიერი გონიერი და გულისხმიერი ადამიანი, ვალდებულია, უზრუნველყოს შესრულების უკან დაბრუნების შესაძლებლობა. ის, რესტიტუციის ნებისმიერ სამართლებრივ რეჟიმში ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკს მყიდველს აკისრებს, რაც ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც ნივთი ჯერ კიდევ მისი რეალური ძალაუფლების ქვეშ იმყოფება. გარდა ამისა ინტერესის საგანს წარმოადგენს ფულადი კომპენსაციისას თანხის ოდენობის განსაზღვრის წესი. მაგალითისთვის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსს ორიენტირად აქვს შესრულების საბაზრო ღირებულება შესრულების მიღების მომენტისათვის. ინგლისში ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, იმაზე, თუ რა სახის შესრულებასთან

¹⁰⁷ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 512.

¹⁰⁸ იქვე, 2014, 513.

გვაქვს საქმე. ამასთან, აქ რესტიტუციის განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმებია ვალდებულების დამრღვევ და კეთილსინდისიერ მხარეთათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართული მოდელის მიხედვით სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა (ჩვეულებრივი ცვეთა) მხედველობაში არ მიიღება. ინგლისური სამართლის სივრცეში კი რესტიტუციის ძირითადი მიზანია, არ დაუშვას განსაზღვრული სარგებლის მიღება ვალდებულების დამრღვევი მხარის მიერ, სარგებლისა, რასაც შესაძლოა მიიღებდა, ხელშეკრულება რომ შესრულებინა. როგორც შედარებისას გამოიკვეთა, ქართული კოდექსით გათვალისწინებული რესტიტუციის რეჟიმი გერმანულის ანალოგია, თუმცა მაინც ვხვდებით განსხვავებას. კერძოდ გერმანული მიდგომით, თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით. როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართლებრივ მონესრიგებაში ვითარება, როცა განხორციელებული შესრულების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, ცალკეულ შემთხვევებადაა კლასიფიცირებული.

6.2 ზიანის ანაზღაურება

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარე შესაძლებელია წარმოშვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.¹⁰⁹ ზიანი არის კანონით დაცული სიკეთის ნეგატიური და არასასურველი ცვლილება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, თავად ზიანის არსებობის ფაქტის დადგენა და ზიანის სახის იდენტიფიცირება.¹¹⁰

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი ადგენს, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ანალოგიურ წესს ჰოლანდიურ სამართალში, რომლის მიხედვითაც ქონების, უფლებისა და ინტერესებისათვის მიყენებულ ზიანს წარმოადგენს როგორც ფაქტობრივი დანაკლისი, ისე მიუღებელი შემოსავალიც. თუმცა, საინტერესოა მოვალეობის დარღვევით გამოწვეული ზიანი უნდა დაანგარიშდეს კონკრეტული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, თუ ზიანის კალკულაციისთვის ზოგადი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ. გარდა აღნიშნულისა, ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ეხება ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოვალეობას, არის კაუზაციის საკითხი. ანაზღაურების მოვალეობა ვრცელდება მხოლოდ ისეთი ზიანზე, რომელიც ვალდებულების დარღვევის გამო დადგა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც

¹⁰⁹ იქვე, 2014, 514.

¹¹⁰ იქვე.

მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ისეთი ზიანის დროს, რომელიც მოვალის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, რაც, პასუხისმგებლობისა და ზიანის ხასიათის გათვალისწინებით, შეიძლება მას მიეწეროს, როგორც ასეთი მოქმედების შედეგი. როგორც ქართულ, ისე ჰოლანდიურ კოდექსში მოცემული დებულება ნათლად განმარტავს, თუ რა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს კრედიტორს. ასე რომ, ბოლოს, მოსამართლესა და პრეცედენტულ სამართალზე დამოკიდებული, განსაზღვროს ანაზღაურების ვალდებულების ფარგლები იმ პირების მიმართ, ვისაც დაურღვიეს აღებული ვალდებულება. თუ ჩავუღრმავდებით ამ დებულებებს, ორი ცალკე კითხვის გამოყოფა იქნება შესაძლებელი: პირველი კითხვა - ფაქტთან დაკავშირებით, ხოლო მეორე - უბრალოდ, ნორმატიული ხასიათის.

თავდაპირველად, უნდა დადგინდეს, რამდენად იყო დამდგარი ზიანი ვალდებულების დარღვევის უშუალო შედეგი თუკი დადგინდება, რომ ზიანი ვალდებულების დარღვევის უშუალო შედეგია, დაისმება ნორმატიული სახის მეორე შეკითხვა: ზუსტად რას ნიშნავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მითითება, რომ „ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს» და რა იგულისხმება ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მსგავს ჩანაწერში. შესაბამისად თითოეულ შემთხვევა, როდესაც სახეზეა ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხი და ზიანის ანაზღაურების ერთობლივად მოთხოვნა, დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს. როგორც ვხედავთ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. თუმცა ეს არ გამოირიცხავს ხელშეკრულების მხარეების მიერ შეთანხმებას ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით მოთხოვნებზე. მათ შეუძლიათ, გამოიყენონ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპი და თვითონაც განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლის პირობები.

7. დასკვნა

pacta sunt servanda - ხელშეკრულება უნდა შესრულდეს¹¹¹ - ყველა სამართლებრივი სისტემისთვის ფუძემდებლური ცნებაა, რომელიც იმპერატიულად ადგენს სახელშეკრულებო პირობების შესრულების სავალდებულობას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის, სახელშეკრულებო წონასწორობის უზრუნველყოფისა და სამართლებრივი

¹¹¹ იხ. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი, სამართლის „ჟურნალი“ N1, 2014, 204.

განსაზღვრულობისათვის.¹¹² მთავარია ვალდებულების შესრულებაა და არა პასუხისმგებლობა მისი შეუსრულებლობისთვის.¹¹³ ხელშეკრულების დადებისას, მხარეთა მიზანი შეთანხმებული პირობების ზედმინევენით შესრულებაა, თუმცა, სახელშეკრულებო ურთიერთობებში ყოველთვის არსებობს ვალდებულების დარღვევისა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივი სისტემები ცდილობენ მოახდინონ სწორედ ამ რისკის პრევენცია და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა. მიუხედავად, აღნიშნული მცდელობისა სახელშეკრულებო ბოჭვის პრინციპი იმპერატიული არ არის და ხშირად დგება საკითხი ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. თუმცა, გასვლის მიზეზი არსებითი პირობების დარღვევა უნდა იყოს.

ქართულ კოდექსში არსებითი შეუსრულებლობის კონცეფცია, როგორც ასეთი, გამოკვეთილი არ არის. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განმარტებულია, რომ ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარეობს, რომ თუნდაც დამატებითი ვადა უშედეგოდ გავიდეს, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, თუკი დარღვევა უმნიშვნელოა. შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს არსებითი დარღვევა, რომლის ჩამონათვალიც კოდექსით არ არის მონესრიგებული, ვინაიდან თითოეულ შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვან დარღვევად სხვადასხვა სახის საკითხი მოგვევლინოს. გერმანულ სამართალში მიდგომა სხვაგვარია – არსებითია თავისთავად ყველა სახელშეკრულებო დარღვევა, რომლებიც დამატებით ვადაში არ გამოსწორდება. ამასთან, ქართული კოდექსი ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობის შეფასების არაავითარ ორიენტირს არ იძლევა, შეფასება მეტად აბსტრაქტულია. გერმანული სამოქალაქო კოდექსის შესაბამის პარაგრაფებში¹¹⁴ კი არ იკვეთება მოთხოვნა ვალდებულების დარღვევის არსებითობის შესახებ. მისი ცენტრალური 323-ე პარაგრაფით უფლება ენიჭება კეთილსინდისიერ მხარეს, გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუკი მეორე მხარე არ შეასრულებს ორმხრივ სახელშეკრულებო ვალდებულებას. ეს არის ამ უფლების სუბსტანცია, ისე, რომ შეუსრულებლობა ხელშეკრულების დარღვევის ობიექტურ შემადგენლობას ქმნის. არსებითობის შესახებ ვაკუუმს კოდექსი დამატებითი ვადის დაწესების მოთხოვნით ავსებს. ეს ინსტიტუტი ყველაზე მეტად სწორედ გერმანულ სამართალშია წარმოდგენილი. მხარისათვის მეორე შანსის მიცემა

¹¹² იბ. იქვე, 2014, 205.

¹¹³ ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 4.

¹¹⁴ §§ 323, 326 of the German Civil Code, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

იმპერატიულია, კრედიტორის ეს ვალდებულება ცენტრალურ 323-ე პარაგრაფშივეა მოცემული.

არსებითი შეუსრულებლობის კონცეფცია განსაკუთრებით განვითარებულია ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში. ზოგადი პრინციპი ასეთია – ვალდებულების დარღვევა რეალურად და არსებითად უნდა ართმევდეს მხარეს იმას, რასაც კანონიერად მოელის იგი ხელშეკრულებიდან.¹¹⁵ მხარე, რომელმაც ხელშეკრულებისათვის შეუსაბამოდ შეასრულა ვალდებულება, უფლებამოსილია, ხელშეკრულების კუთვნილი ნაწილის შესრულება მოსთხოვოს მეორე მხარეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესრულების ნაკლი არსებითად ხელყოფს კონტრაქტის ლეგიტიმურ მოლოდინს.¹¹⁶ ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ფუნდამენტური დარღვევის შესახებ კონცეფციაში, რომელიც ერთ-ერთი ძირითადია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მიხედვით, აქცენტი კეთდება მხარის ინტერესზე ვალდებულების შესრულებაში, ობიექტურად დამდგარი ზიანის მიუხედავად.¹¹⁷ საუბარია მხარის ობიექტურ მოლოდინზე, რომელიც ხელშეკრულების პირობებშია ასახული.¹¹⁸ ასე რომ, ფუნდამენტურ დარღვევად განსზღვრულია დარღვევა, რომელიც არსებითად ართმევს მხარეს იმას, რის მოლოდინის უფლებაც აქვს მას ხელშეკრულების მიხედვით.¹¹⁹ აქვე შემოდის სუბიექტური ელემენტიც – ვალდებულების დამრღვევმა მხარემ იცოდა, ან შეეძლო და უნდა სცოდნოდა მოსალოდნელი შედეგის შესახებ. ორივე ეს პირობა კუმულატიურია, შესაბამისად, თუკი მხარეს არ განუჭვრეტია და არც შეეძლო განეჭვრეტა შეუსრულებლობის კონკრეტული შედეგი, დარღვევა ფუნდამენტური არ არის. უნდა ითქვას, რომ ფუნდამენტური დარღვევის ერთიანი კონცეფცია მაინც ბუნდოვანი რჩება, რადგან დამოკიდებულება იცვლება კონკრეტული გარემოებების შედეგად.¹²⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებას და ამასთანავე აღნიშნული პირობების

¹¹⁵ Treitel, *The Law of Contract*, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995, 676.

¹¹⁶ იქვე, 676-677.

¹¹⁷ Schlechtriem, *Uniform Sales Law-The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods*, available at <www.law.pace.edu/cisg/text/treaty>, 1-3, (05.01.08.).

¹¹⁸ იქვე, 3.

¹¹⁹ *United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) CISG*, The UN-certified English text is published in 52 *Federal Register* 6262, 6264-6280 (March 2, 1987); art. 25.

¹²⁰ Huber, *CISG-The Structure of Remedies*, Reproduced with Permission of 71 *Rechts Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht* (January 2007) 13-34, Presentation at seminar: *The Convention on the International Sale of Goods. The 25-th Anniversary: Its Impact in the Past; Its Role in the Future*, German Society of Comparative Law, Private Law Division, Conference 2005 (22-24 September) Würzburg, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2007.

არსებითობის განსაზღვრას, ვინაიდან, არაარსებით პირობებზე შეუთანხმებლობა ან მათი ბათილობა ხელშეკრულების ბათილობას არ იწვევს. კანონი არ განსაზღვრავს არსებითი პირობების ჩამონათვალს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. აქედან გამომდინარე, არსებით პირობათა წრე ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შესაბამისად განისაზღვრება მხარეთა მიერ და როგორც წესი ის არ არის მრავალრიცხოვანი. შესაძლებელია ითქვას, რომ არსებითად უნდა ჩაითვალოს ის პირობები, რომლებიც გამოხატავენ შესაბამისი ხელშეკრულების ბუნებას. ტრადიციულად, როგორც დოქტრინის, ისე პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბდა საკითხთა წრე, რომელზედაც მხარეთა შეთანხმება აუცილებლადაა მიჩნეული - ესაა საგანი, ფასი და ხელშეკრულების ვადა. თუმცა, აღნიშნული ვერ იქნება გამოყენებული ყველა ტიპის ხელშეკრულების მიმართ. ვინაიდან, მხარემ შესაძლოა ისეთ პირობაზე მიუთითოს, რომელიც საერთოდ სცილდება ამ პირობათა ნუსხას. ანუ, პირობა, რომელიც ჩვეულებრივ არაა მიჩნეული არსებითად, შესაძლოა გახდეს ასეთი.

რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმს, ის ზუსტადაა განსაზღვრული როგორც კონტინენტურეგროპულ, ისე ანგლოამერიკულ სამართლის სისტემაში, ასე რომ, მისი იდენტიფიკაცია რთული არაა, რაც არ შეიძლება ითქვას ქართულ სამართლებრივ სივრცეზე. მიუხედავად იმისა, განხილულ სამართლის აქტებში ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეგულირება რამდენიმე მუხლით ამოიწურება, ხოლო ქართული კოდექსი ცალკე თავს უთმობს ამ ინსტიტუტს, იგი არაერთი ხარვეზით ხასიათდება. ქართული კოდექსი არ შეიცავს არც შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის ერთიან ცნებას და არც ცალკე მუხლებს უთმობს შეუსრულებლობის ცალკეულ კატეგორიას, როგორც ეს გერმანულ კოდექსშია მოცემული. ერთადერთი კატეგორია, რომელიც ცალკე მსჯელობის საგანია, მოვალის მიერ ვადის გადაცილებაა, მისთვის განკუთვნილ ცალკე თავში კი შესრულების შეუძლებლობას ერთადერთი მუხლი აქვს დათმობილი, ისიც იმ შემთხვევის საიდენტიფიკაციოდ, როდის არ ჩაითვლება ვადა გადაცილებულად. ვალდებულების დარღვევის ნაწილში კოდექსის ხარვეზები ხელშეკრულების პირობების არსებითობის განსაზღვრაზეც ვრცელდება და ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტზეც. შესაბამისად, არ იკვეთება ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციფიკა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის კონკრეტულ შემთხვევებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ფორმულირებით, დამატებითი ვადის დაწესება საჭირო არ არის, რადგან აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. გერმანული სამოქალაქო კოდექსის ანალოგიურად, დამატებითი ვადის დაწესება საჭირო არ არის, როცა მოვალე განსაზღვრულ და საბოლოო უარს ამბობს შესრულებაზე. მოცემულ ფორმულირებაში ქართველი კანონმდებელი, სავარაუდოდ,

აერთიანებს, როგორც შემთხვევას, როცა შესრულება შეუძლებელია, ასევე შემთხვევას, როცა მოვალე უარყოფს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას. საქმე ისაა, რომ ქართულ სამართალში არც ერთი ამ შემთხვევათაგან ცალკე გამოყოფილი არ არის არც საკანონმდებლო და არც დოქტრინულ დონეზე, განსხვავებით გერმანული კოდექსისა, რომელსაც თითოეული ეს შემთხვევა, – როცა აშკარაა, რომ დამატებით ვადას შედეგი არ მოჰყვება, – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელ სახეებად გამოაქვს და მას მნიშვნელოვანი დარღვევის ჭრილში აღიქვამს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გასვლისათვის დარღვეული პირობის შეფასება, თითოეულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა მოხდეს, ვინაიდან შეუძლებელია კანონმდებლობით სრულად იქნეს განსაზღვრული არსებითი პირობების ჩამონათვალი. როგორც უკვე აღვნიშნე, ერთი და იგივე სამართლებრივი ურთიერთობისას შესაძლებელია მხარეთათვის არსებითი პირობები სრულად განსხვავებული იყოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს ხელშეკრულების დარღვევის სახეები და ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორის ვალდებულებები. საგულისხმოა, რომ ქართულ კანონმდებლობას ამ კუთხით ბევრი საერთო აქვს გერმანიის სამოქალაქო კოდექსთან, თუმცა დახვეწას და მეტ კონკრეტიზაციას მაინც საჭიროებს.

ბიბლიოგრაფია

1. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2011 <<https://tsulawyers.weebly.com/online-library.html>>;

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, უწყებანი, 1997, 31.
3. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეპეტიცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005 <<http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/187881/1/EvropuliKerdzoSamartlisReceptiaSaqartveloshi.pdf>>;
4. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999,6.
5. ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002;
6. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014;
7. ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013;
8. კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ “საქართველოს მაცნეს” სტამბა;
9. ზარანდია თ., სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005;
10. იხ. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებისადმი ხელმეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი, სამართლის უურნალი N1, 2014;
11. მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2004;
12. ჩაჩავა , მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004;
13. ბილინიგი/ლუტრინგჰაუსი/მატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2005;
14. ძლიერიშვილი ზ. ვალდებულების შესრულება, 2006;
15. მესხიშვილი , ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004;
16. ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001;

17. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004;
18. მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, 2004;
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება 2006 წლის 20 იანვრის ას-946-1203-05 განჩინება;
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივნისის N ას-630-593-2012 განჩინება;
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 22 ივლისის N ას-292-573-04 განჩინება;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის N ას-717-670-2017 განჩინება;
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 28 მარტის N ას-282-266011 განჩინება;
24. Zimmermann, Breach of Contract and Remedies under the New German Law of Obligations, Roma 2002, 38 <<http://w3.uniroma1.it/idc/centro/publications/48zimmermann.pdf> (15.12.2007)>;
25. T. Wagner, Limitations of Damages for Breach of Contract in German and Scots Law, A Comparative Law Study in View of a Possible European Unification of Law, "Comparative Law/ Rechtsvergleichung, Hahnse Law Review" 2014, vol. 10, No. 1;
26. Lando and Beale, Principles of European Contract Law, Parts I and II, Combined and Revised, Prepared by The Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/ Boston;
27. Zveigert, Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Oxford, 1987;
28. Schulte-Nolke, The New German Law of Obligations: an Introduction, <<https://www.iuscomp.org/gla/literature/schulte-noelke.htm>>;
29. Brox, Walker, Allgemeines Schuldrecht, 36 Auflage, Munchen, 2012;

30. Schlechtriem, The German Act to Modernize the Law of Obligations in the Context of Common Principles and Structures of the Law of Obligations in Europe
<<http://ouclf.iuscomp.org/articles/schlechtriem2.shtml>>;
31. “To put the debtor in default”, in: Zweigert, Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Clarendon Press, Oxford;
32. Ebke and Finkin, Introduction to German Law, Kluwer Law International, The Hague-London-Boston, 1996;
33. Lowisch, New Law of Obligations in Germany,
<<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred141.pdf>>;
34. Markesinis, Unberath, Johnston, The German Law of Contract-A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006;
35. J. Cartwright, Contract Law, An Introduction to the English Law of Contract for the Civil Lawyer, 3rd ed., Hart 2016; S. Atkins, Equity and Trusts, 2nd ed., Routledge 2015;
36. German Civil Code (BGB), Juris GmbH, Saarbrücken, 2005;
37. Anson, Bart., D.C.L, Principles of the English Law of Contract and of Agency in its Relation to Contract, 9th., Clarendon Press, Oxford, London and New York, 1899;
38. Beale/Kötz/Hartkamp/Tallon, eds., Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002;
39. Kötz, Flessner, Europäisches Vertragsrecht, 1996;
40. Bar, Clive, Schulte-Nölke (ed.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law (DCFR), Vol. I, Book II (Model Rules), Chapter 1, 2009;
41. Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005;
42. Graffi, Case Law on the Concept of “fundamental breach” in the Vienna Sales Convention, <<https://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/graffi.html>>
43. Treitel, The Law of Contract, 9th ed., Sweet and Maxwell, London, 1995;
44. Schlechtriem, Uniform Sales Law-The UN-Convention on Contracts for the International Sale of Goods, available at <www.law.pace.edu/cisg/text/treaty>;
45. United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (1980) CISG, The UN-certified English text is published in 52 Federal Register 6262, 6264-6280 (March 2, 1987);

46. Zweigert, Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, 2nd ed., Translated from the German by Tony Weir, Oxford;